52
პარასკევი 8 მარტი, 1902 წ.

1877—1902

# ივერია

№ 52
შაბათი 9 მარტი, 1902 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

---

**ივანე სოლომონის ძე კლიმიაშვილი და მეუღლე მისი სოფიო** შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა, ნაცნობებსა და ამხანაგებს, რომ მათს შვილს

## კონსტანტინე ივანეს ძეს კლიმიაშვილს

(ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს) დაასაფლავებენ კვირას, 10 მარტს. წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქმნება კალოუბნის ეკკლესიაში. დასაწყისი წირვისა დილის 9 1/2 საათზედ. მიცვალებულს შემდეგ კუკიის სასაფლაოზედ წაასვენებენ დასაკრძალავად. (1—336—1)

---

## 1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

---

## ქართული თეატრი

კვირას, 10 მარტს, 1902 წ.

**ვ. ალ. აბაშიძის**
**ქართულ სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად**

გაიმართება

## სადღესასწაულო წარმოდგენა

**დილით:**
დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზედ.

წარმოდგენილი იქმნება სცენები თავ. გ. ერისთავის კომედიიდგან ,,**გაყრა**'', თვითოეულ იუბილარისა და მთელის დასის მონაწილეობით. დასასრულ, სადღესასწაულო მილოცვანი და სხვა.

**საღამოთი:**
დასაწყისი 8 საათზედ.

მესამე მოქმედება გოგოლის კომედ. ,,**რევიზორი**'', მეორე მოქმედ. ავ. ცაგარლის კომედ. ,,**ხანუმა**'', მესამე მოქმედ. მოლიერის კომ. ,,**მუზმუზელა**'' და მესამე მოქ. სუნდუკიანცის კომედიიდგან ,,**ხათაბალა**''.
დასასრულ **აპოთეოზი**.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დრამ. საზ. გამგეობის ადმინისტრაცია (უ.)

---

**ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს თავისს წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირის, ამა წლის 24 მარტისათვის, დანიშნულია წევრთა **წლიური საზოგადო კრება**. კრება მოხდება დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
3. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
4. არჩევანები საბჭოს ხუთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით რწმუნებანი საზოგადო კრებაში მონაწილეობისათვის უნდა წარედგინოს გამგეობას სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 20 მარტისა. (3—б.—2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

---

ექიმი

## ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. (წ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1 1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი,** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7 1/2—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навадіана. Тифлисъ, противъ памят. Ворронцову. (წლ.)

---

## სოფელი და სოფლელნი.

(დასასრული მესამე წერილის.)

ტფილისის გუბერნიაში 9 მაზრაა, 30 საბოქაულო, 404 სოფლის საზოგადოება ანუ სამამასახლისო და 2220 სოფელი (ვგონებ, უფრო ნამდვილია 2227). სოფლებში სცხოვრობს 108,719 კომლი ყველა წოდებისა და ხარისხისა, ანუ 678,191 სული ორისავე სქესისა.*) ესენი გვარ-ტომობით არიან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) | ქართველები | 361,405 | სული. |
| 2) | სომხები | 122,602 | — |
| 3) | ოსები | 72,036 | — |
| 4) | თათრები | 67,054 | — |
| 5) | ბერძნები | 21,881 | — |
| 6) | რუსები | 20,704 | — |
| 7) | ნემეცები და შვედები | 3,871 | — |
| 8) | ებრაელნი | 3,443 | — |
| 9) | ქისტები | 2,497 | — |
| 10) | ქურთები | 2,122 | — |
| 11) | პოლონელნი, ლიტოველნი, აისორები, ჩერქეზები, ყაბარდოელნი და ლეკები | 576**) | — |

სულ ორისავე სქესისა: 678,191 სული.

ეს ციფირები გვარწმუნებს, რომ ყველა წოდებისა და ხარისხის ქართველობა სოფლებში არ აღემატებოდა (1886) წ. 361,405 სულს, და ამავე დროს ამავე სოფლელთა უცხო გვარ-ტომის წარმომადგენელნი შეადგენდნენ—316,786 სულს, ე. ი. რიცხვით თითქმის უთანასწორდებიან და დღეს უცხო გვარ-ტომისანი მონახევრენი არიან ქართველის ერისა აღმოსავლეთ საქართველოში. იმავე ცნობებიდგან სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში ქალაქებითურთ (შვიდს ქალაქში ნაჩვენებია 129,952 სული ორისავე სქესისა), გარდა იმ რუსთა, რომელნიც ხარჯს არ იძლევიან (за исключеніемъ лишь русскаго происхожденія лицъ неподатныхъ состояній, какъ уже приписанныхъ къ своимъ участкамъ въ другихъ мѣстахъ) და რომელნიც 1886 წლის სიებში შეტანილნი არ არიან, სცხოვრობს 808,143 სული ორისავე სქესისა.

წოდებით და ხარისხით ესენი განიყოფებიან ამ რიგად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) | თავადები | 4,925 | სული. |
| 2) | აზნაურები | 16,313 | „ |
| 3) | ბეგები და აღალარები | 2,089 | „ |
| 4) | ვაჭრები | 1,928 | „ |
| 5) | მოქალაქენი | 1,817 | „ |
| 6) | ქალაქელნი (мѣщане горожане) | 78,633 | „ |
| 7) | ოტსტავკაში მყოფი ნასალდათარნი (отставн. нижн. чины) | 6,773 | „ |
| 8) | ზაპასის სალდათნი | 770 | „ |
| 9) | უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი | 487 | „ |
| 10) | ყაზახები | 105 | „ |
| 11) | სასულიერო წოდება: | | |
| | ა) მართლ-მადიდებელნი | 6,893 | „ |
| | ბ) გრიგორიანთა რჯულისა | 3,059 | „ |
| | გ) კათოლიკეთა რჯულისა | 229 | „ |
| | დ) მაჰმადის რჯულისა | 474 | „ |
| 12) | გლეხნი, რომელთა ხარისხი და მდგომარეობა აღნიშნული არ არის | 18,928 | „ |
| 13) | გლეხ-კაცობა: ა) სახაზინო | 415,114 | „ |
| | ბ) საბატონო მამულზე მცხოვრები | 127,984 | „ |
| | გ) დროებით ვალდებულნი | 61,841 | „ |
| | დ) მესაკუთრენი | 24,379 | „ |
| | ე) მონასტრების მიწებზედ მცხოვრებნი | 1,655 | „ |
| | ვ) ხიზნები | 33,747 | „ |

სულ 808,143 სული ორივე სქესისა.

ვგონებ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენში სოფლელთა სხვა-და-სხვაობას გვარ-ტომობით, წოდებით და კლასთა ინტერესებით დიდი გავლენა აქვს სოფლელთა ეკონომიურ ურთიერთ დამოკიდებულებაზედ, ზნეობრივსა და სულიერ ვითარებაზედ. ეს გადახლართვა ინტერესებისა და მისგან გამოწვეული რთული მოვლენანი მეტად გვიძნელებს სოფლების ვითარების გამოკვლევას, მაგრამ, გარდა ამისა, სხვა უფრო დიდი სიძნელე გვიძევს წინ, რომელსაც ალაგი არა აქვს სხვა ქვეყნების სოფლელთა მდგომარეობის შესწავლის დროს. იქ მეურნეობის ერთგვარობაც დიდად ამსუბუქებს შრომას. თუნდა, მაგალითად, ავიღოთ რუსეთის სოფელთა მეურნეობის ვითარება.

ჩვენის სოფლების მეურნეობის მრავალგვარობა დამოკიდებულია ჩვენის ქვეყნის მრავალ ფეროვან ბუნებაზე. თითქმის არც ერთ სოფელში არ შეხვდებით ერთის ღირსების მიწას; გარდა ნიადაგისა, მიწები განსხვავდება თავიანთ მდებარეობითაც. შესაძლოა, რომ მომიჯნავე მიწები სულ სხვა თვისებისა იყოს. განა ერთი და იგივეა: მთის მიწა და ბარის მიწა, სარწყავი, ურწყავი, ჰაობიანი, ქვიშიანი, თიხიანი, მლაშე, შავი, თეთრი მიწა, ლამი, ქვიანი და სხვა. ყველამ იცის, რა დიდად განირჩევა მიწა მხოლოდ თავის მდებარეობით რომელსამე ფერდობზე: სამხრეთად, აღმოსავლეთად, ჩრდილოეთად ანუ დასავლეთად. ეს მიწა სხვააო, ბატონო, გზის პირიაო, და ის-კი დაჩრდილული გახლავთო, არა ერთხელ გამიგონია სოფელში. ჰაერს, ქარს, სინესტეს, ჰავას, (ციებ-ცხელებიანი ალაგები) გზებს, ბაზარს და ბევრს სხვა ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ რომელსამე სოფლელთა ეკონომიურ ვითარების გამოსაძიებლად სულაც საკმარისი არ არის ვიცოდეთ მხოლოდ მიწის რაოდენობა, სხვა ფაქტორებიც საჭიროა შესწავლილი გვქონდეს. შესაძლოა (ამის მაგალითს ბევრს მოვიყვან შემდეგს წერილებში), რომ სოფლის მეკომურთ მიწა ათჯერ და ოცჯერაც მეტი ეჭიროთ სხვებზედ, მაგრამ ეს მიწა-ნაკლებიანი სოფელი ბევრით უკეთესს ეკონომიურს ვითარებაში იმყოფებოდეს. რადგან მეურნეობა ბუნებისა და ნიადაგის სხვა-და-სხვაობაზედ არის დამყარებული, ამიტომ ჩვენში ყველა ხეობისა და მაზრის სხვა-და-სხვა კუთხეს ერთი და იგივე ეკონომიური ხასიათი არა აქვს.

გარდა ამისა, ისიც უსათუოდ საჭიროა გამოკვლეულ იყოს, რა გადასახადი აძევს ყველგან მიწას რა ხასიათის, ხარჯს ეწევა გლეხკაცი და რამდენად შეთანხმებულია ეს გადასახადი და ხარჯი მის ეკონომიურ ძალ-ღონესთან, ე. ი. შეუძლიან თუ არა გლეხ-კაცობას მიწის შემოსავლით გაუძლვეს იმ გადასახადსა და ხარჯს, რომელიც მიწას ადევს.

ჩვენის ერის დაწინაურებულმა და განათლებულმა საზოგადოებამ თავისი ძალ-ღონე უნდა მოანდომოს სოფლელთა ცხოვრების გამოკვლევას, თუ ჰსურს ჩვენის ერის ბედნიერება. თუ ამ საქმეს არ შევუდექით და არ დავამთავრეთ, ვერც გზას გავიკვლევთ ჩვენის კეთილდღეობის მისაღწევად და აზრების არევ-დარევას და აბდა-უბდობას ბოლო არ მოეღება. დროა, ვგონებ, თავი ვანებოთ ოცნებას, განყენებულ საგნებზე ბაასს, კანტი-კონზე კანტი-კუნტს და შეუფერებელს საუბარს და ვიზრუნოთ, რათა სამომავლოდ მაინც ახლანდელ ჟამთა სიავისათვის ცხოვრების საიმედო გზა გავიკვლიოთ.

ვგონებ ყველა ჰხედავს, რომ თან-და-თან უკან-უკან მივდივართ, რადგან ხალხის ცხოვრებისა ჯერ არა ვიცით-რა და ამიტომაც ვერას ვასაბუთებთ და ერს ვერავითარ საიმედო რჩევას ვერ ვაძლევთ.

დღემდე ჩვენს პრესას და პუბლიცისტიკას ეროვნული ხასიათი არა აქვს: მისი ნიშნობლივი თვისება მიბაძვაა. ერთიც და მეორეც საზრდოს ჩვენის ერის ცხოვრებაში-კი არ ეძებს, არამედ სხვა ქვეყნების პუბლიცისტების და ეკონომისტების მოსაზრებით და გამოკვლევით საზრდოობს და სულდგმულობს. სწორედ ამიტომ ამ მოსაზრებას პრაქტიკული ხასიათი არა აქვს, მხოლოდ თეორიტიული მოსაზრებაა და ამიტომაც ჩვენის ხალხის გული ქართულმა პრესამ დღემდე ვერ მოინადირა და თუ ამ მიმართულებას არ ასცილდა, მომავალშიაც ისე იღოლიალებს და დაბეჩავებული იქნება, მოკლებული ერის უმრავლესობის თანაგრძნობასა და დახმარებას, როგორც დღესაა.

ჩვენი ხალხი დიდს გაჭირვებაშია და არ იცის, საიდგან და ვისგან უნდა მოელოდეს შველას. დიდი მხნეობა, დიდი შრომაა საჭირო ერის უნუგეშო ვითარების გამოსაკვლევად და იმ რთულ მოვლენათა გამოსაძიებლად, რომელმაც გამოიწვია ეს უნუგეშო მდგომარეობა. სხვაფრივ შეუძლებელია ნამდვილი გზა გავიკვლიოთ ერის წარმატებისა და ბედნიერებისათვის.

მ. ტფილისელი.

*) Сводъ статистическихъ данныхъ о населеніи Закавказскаго Края, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 года. Тифлисъ. 1893 г. ამ წიგნში მოყვანილი ცნობანი ამოკრეფილია იმ საკომლო სიებიდგან, რომელიც მთავრობის განკარგულებით შეადგინეს 1886 წელს და ამიტომ, ცოტა არ იყოს, ეხლანდელ გარემოებას არ შეეფერება, მაგრამ, რადგან ჯერ სხვა ცნობანი განმარტებულნი არ არიან, იძულებული ვარ ამ წიგნით ვიხელმძღვანელო. აქ მოყვანილი ციფირი (678,191) შეხება დაბებს (мѣстечки), სოფლებს და სოფლუკებს (поселки, отсёлки), და შვიდის ქალაქის (ტფილისი, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, დუშეთი, სიღნაღი და თელავი) მცხოვრებთა რიცხვი არ არის ნაჩვენები. აგრეთვე აქ არ არის ნაჩვენები იმ ლეკების, თათრების და სომხების რაოდენობა, რომელნიც ჩვენს გუბერნიაზე არ არიან მიწერილნი, მაგრამ მთელი ზამთარი ამ გუბერნიის ტყეებში და საზამთრო საბალახეებზედ სცხოვრობენ.

ავტ.

**) ეს რიცხვი ზემო-მოყვანილ წიგნის ცხრილში ნაჩვენებია 590 სული, მაგრამ, რადგან ამით შეიცვლება იქვე მოყვანილი რიცხვი 678,191, ამიტომ შესაფარდებლად დავუკელი 14.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთ შემდეგი ჩაის ნიხრი: 1) ყველა მოსამსახურეს ნება აქვს მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი დალიოს უფასოდ; 2) შაქარი უნდა მოიტანოს შინიდგან; 3) კვერცხი შეუძლიან მოიტანოს შინიდგან და მოხარშვა ქალაქის ხარჯია; 4) თუ ვინიცობაა შაქრის მოტანა მოსამსახურეთ დაეზარათ, შეუძლიანთ გადიხადონ თვეში 30 კ. და მიიღებენ ყოველ დღე 4 1/2—6 მისხლამდე შაქარს. რაც შეეხება მეორე და მესამე ჭიქა ჩაის, თუ მოსამსახურემ მოინდომა, ამ საქმის გარდაწყვეტა შემდეგისათვის გადიდვა (?). აკი ქალაქის გამგეობა ხარჯს არ ამცირებს და ქალაქს შეღავათს არ აძლევსო?!.

✦ უმართებულესს სენატს თავისი წინანდელი აზრი საეკკლესიო მიწებზე ხნოვანობის შესახებ გამოუცვლია და ახლა განაჩენი დაუდგენია, რომ ხსენებულის მიწებისათვისაც ათის წლის ხნოვანობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ყველა სხვა უძრავ ქონებათათვისო.

✦ გაზეთის „Сѣверный Кавказъ“-ის რედაქტორი დ. ევსეევი თავისსავე გაზეთის № 28-ში მწუხარებით აცხადებს, რომ რად-

განაც ადგილობრივმა მთავრობამ აღუკრძალა მას შემახელთა სასარგებლოდ შემომწირველთა სახელ-გვარის გაზეთში გამოცხადება, ამიტომ იგი იძულებულია ხელი აიღოს საზოგადოებისა და შემომწირველთა შორის სიმპატიურს შუამდგომლობაზე. ამასთანავე ბ-ნი რედაქტორი აუწყებს საზოგადოებას, რომ თუ ამ გამოცხადების შემდეგაც ვინმე გამოუგზავნის რედაქციას თავისს წვლილს დაზარალებულთა სასარგებლოდ, იგი ასეთს შეწირულებას, გაზეთში გამოუცხადებლად, პირდაპირ ბაქოს კომიტეტს გაუგზავნის ფოსტით.

◆ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის გასადიდებლად მიწათ-მოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია თავისის წარმომადგენლისათვის კავკასიაში 15,000 მანეთი.

◆ ჩვენს სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია მცხეთის მონასტრის გალავანში ხეხილისა და ბაღის გაშენება. ამ გადაწყვეტილების ასრულება მიუნდვიათ ბოტანიკურის ბაღის გამგის როლლოვისათვის.

◆ ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის საქმეთა მომწყობ კომისიას, პოლიცმეისტრის მონაწილეობით, საჭიროდ უცვნია დაარსებულ იქმნას ბუხრის მწმენდელთა არტელი. არტელში იქმნება 50 ბუხრის მწმენდელი. თითოეულის ბუხრის გაწმენდაში ქალაქი გადაახდევინებს შენობათა პატრონებს ორ შაურს. მთელი ხარჯი ამ არტელის შესანახავად ნაანგარიშევია 13,704 მან. შემოსავლს ერთი სამად მეტს მოელიან.

◆ გუშინ-წინ, 7 მარტს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში დანიშნული იყო „სამარხ კასის“ წევრთა კრება. კრება არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი დამფუძნებელთა წევრთა არ დაესწრო. თუმცა კრება ვერ შესდგა, მაგრამ წევრობის სურვილი ორმოცამდე გამოაცხადა.

საჭიროდ ვრაცხთ მოვახსენოთ ორიოდე სიტყვა ამ კასის დანიშნულებაზედ ჩვენს მკითხველებს. „სამარხი კასა“ შესდგება 500 წევრისაგან. ყველა წევრს შეაქვს კასაში ერთხელ 3 მან. და 25 კ. წევრი რომ გარდაიცვლება, მისს პატრონს, დამმარხველს ეძლევა 500 მანეთი შემწეობა და დანარჩენმა წევრებმა ამ ხარჯის შესავსებლად უნდა შეიტანონ კასაში თითომ თითო მანეთი და 25 კაპ. და ამ რიგადვე ყველა წევრის სიკვდილის შემდეგ. ამისთანა კასები რუსეთში ბევრგან არის დაარსებული, საქართველოში-კი ამ რამდენისამე წლის წინად ნ. ნიკოლაძემ დააარსა ფოთში; კასა ეხლაც არსებობს და კარგადაც მიდის მისი საქმე. ტფილისისათვის იზრუნა ი. მერკვილაძემ, დაამტკიცებინა მთავრობას წესდება და ამ ჟამად ასამდე წევრი ითვლება კასაში.

მეორე კრება დანიშნულია 17 მარტისათვის თეატრის ფოიეში. იმედია ახალი წევრებიც დაესწრებიან და დამფუძნებელნიც არ დაიზარებენ მოსვლას, რადგან საზოგადოებას ამოსარჩევი ჰყავს გამგეობის წევრნი, მათი კანდიდატები და სარევიზიო კომისია.

◆ გუშინ, 7 მარტს, კავკასიის მთავარმართებელმა თ-დმა გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა ვერაზე ის ადგილი, სადაც უნდა აშენდეს მართლ-მადიდებელთა სემინარია.

◆ სოფ. ფცქორი (სიღნაღის მაზრა): ჯქ სასშინლად არის გავრცელებული საბძლებისა, თივისა, სახლების და ღობეების წვა. ღამე ისე არ გავა, რომ ზარის რეკა არ ასტყდეს ხალხის შესაკრებად ცეცხლის ჩასაქრობად. ამისთანა ბოროტ-განმზრახველობა დედა-კაცებმაც დაიწყეს. ქურდობა და ძარცვა-გლეჯაც ხშირი მოვლენაა ვაქირში.

◆ სოფ. ანაგა (სიღ. მაზ.): ამას წინედ აქაურმა გლეხმა სიმონაშვილმა დაჰპატიჟა ერთი სოფლის თავ-აღებული ღოთი-ფოთი ბიჭი, დაათრო და შემდეგ უთხრა: აბა თუ ჩემი ძმა ბიჭი ხარ, ერთი თხოვნა შემისრულეო; წავიდეთ და ჩემი მტერმოყვარის დემეტრაშვილის ვენახი გადავჭრათო. თქმა და ბიჭის წამოხტომა, წალდის აღება და საქმის შედგომა ერთი იყო. დატრიალდა ღოთიფოთი და ერთ საათში სავსე ვენახი ძირს დასცა! მეორე დღეს ვენახის პატრონმა მთელი ვაზები ურმით მაზრის უფროსთან მიიტანა. მაზრის უფროსმა შეიპყრა დამნაშავე და ჰკითხა: რათ ჩაიდინე ავკაცობაო? ამის პასუხად მიიღო: ბატონო, ჩემმა მასპინძელმა ისეთი ღვინო დამალევინა და ისეთი ერბო-კვერცხი მომიწო, რომ მე მზად ვიყავი იმის გულისთვის მთელი კახეთის ვენახები გადამეჭრაო. გამოძიება სწარმოებს.

◆ სოფ. გეჯვინი: ამ დღეებში ერთი ქურდი დამე შეიპარა ქაშანურის ჭურჭლის ქარხანაში გასაქურდავად, მაგრამ პატრონმა მოასწრო. ქურდმა ხანჯლით პატრონი მოჰკლა, ამას მიეშველნენ ძმა, დედა და ცოლი. ქურდმა ყველა სათითაოდ დასჭრა. როგორც იყო, შეიპყრეს. ერთი ცხენოსანი ბოქაულთან გაგზავნეს. როდესაც ეს ცხენოსანი სოფელში ბრუნდებოდა, გზაში შეხვდა გაქცეული ქურდი, გადმოხტა ცხენიდგან, შეჰკრა ცხენის საბელით, დააკრა ცხენს და წარუდგინა ბოქაულს.

◆ მოგებითი ბილეთების უკანასკნელ ტირაჟში ორასი ათასი მანეთის მოგება შეხვდა პეტერბურგში მცხოვრებს ტყის ვაჭარს ბ-ნს ბონდარევს.

◆ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულით შემოწირულება მარტის 4-მდე შემოსულა სულ 275.000 მანეთი. მას შემდეგ კიდევ ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა იმავ დაზარალებულთ 100,000 მან.

◆ თელავი: ქურდები კიდევ არ იშლიან თავისას და სტეხენ ეკკლესიებს. ამ დღეებში გასტეხეს ეკკლესიები სოფელ ბუშეთს, ოჟიოს და ნასომხარს. შიგ ვერა ენახათ-რა ხელ-საურელი და წასაღები. ეტყობა ამიტომ გაბრაზებულან და შეუგინებიათ სიწმიდენი, დაუმტვრევიათ ხატები და წასულან. ქურდებმა სცადეს აგრეთვე გატეხა აწყურის მდიდარის ეკკლესიისა, თეთრის გიორგისა, მაგრამ ყარაულებმა მალე თურმე შეუტიეს. ზემო-ხოდაშნის ეკკლესიასაც თურმე ესტუმრნენ, მაგრამ იქაც ვერას გამხდარან.

◆ ბერ-მონაზონი დავითი, მასწავლებელი ქართულის ენისა აქაურს სასულიერო სასწავლებელში, გადაყვანილ იქმნა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ბერ-მონაზონს დავითს უმაღლესი სასულიერო სწავლა აქვს დამთავრებული და მისი დაწინაურება სამსახურში ფრიად სასიამოვნოა.

—

## იმერეთის ამბები:

—

◆ ქუთაისი: „წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ თაოსნობით ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში 2 მარტს გარდახდილ იქმნა 1880 წ. 2 აგვისტოს გარდაცვალებულის საქართველოს ისტორიკოს-არქეოლოგოსის მარი ბროსეს დაბადების ასის წლის თავზე სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი.

◆ ამ თვის 1-დგან ქუთათურმა მეეტლეებმა პირი შეჰკრეს, თავიანთ ეტლებს რეზინები ჩამოაშორეს თვლებზე და შესცვალეს იგი რკინის სალტეებით, რომელსაც მეტის-მეტი ხმაურობა გააქვს ქუთაისის მეტად დაზიანებულ ქუჩებზე. თავიანთ მოქმედებას მეეტლეები საბჭოს მიერ ტაქსის მოუმატებლობით ჰხსნიან, რაზედაც ისინი არა ერთხელ შუამდგომლობდნენ აქ ბოლოს ხანს, რაც რეზინის სალტეების ხმარება შემოიღეს. ორი-სამის დღის მათი შეთქმულობა დღეს კლებულობს, მაგრამ ისინი თავიანთ საჩივარს — რეზინი ძვირი გვიჯდებაო — მაინც თავს არ ანებებენ და, ალბად, „ქალაქის მამებს“ ამ სეზონის მიწურულში კიდევ შეაწუხებენ ტაქსის მომატებაზე სჯა-ბაასით.

◆ იძდგანჯვ: ამ დღეებში სვანეთიდგან ჩამოსულმა აგრონომმა გვიამბო, რომ იქ წელს ორი საჟენი თოვლი ყოფილა. ქვეითად მისვლა-მოსვლა ქუთაისთან არ შეწყვეტილა, მაგრამ ხალხი ძლიერ გაჭირვებულია მოუსავლობის გამო. პური სამესამედად არავის დაუთესია, რადგან მკვიდრს სათესლე არ გააჩნია. შიმშილობა წელს იმათაც საკმარის დაღს დააჩნევს.

მასვე უნახავს ერთის ვანისს ხელში ძველი ოქროს ფული 15 მანეთიანის ოდენა, რომლის ერთ პირზე არის გამოხატული ლომი ისრით პირში და პურის თავლით ფეხებ ქვეშ. აქ არის აღნიშნული ლათინური სამი ასო გ. ნ. ა., რომლითაც უნდა აღინიშნებოდეს წელი. მეორე გვერდზე დახატულია კერპთაყვანის-მცემელთა ერთ-ერთი ღმერთის თავი. ამ გვარი ფულები ამ ორის წლის წინედ იმ სვანს მინდორში ხვნის დროს ბევრი უნახავს და ვიღაც სომეხს, რომელიც სვანეთში ჩარჩობას თურმე ეწევა, იაფად შეუძენია და მერე რუსეთში დიდ ფასებში (500 მ. თითო) გაუყიდნია. ერთი ამ ფულებიდგან ნამდვილად არ ვიცით და, როგორც უთქვამს, პატრონს წ. კ. გამ. საზოგადოებისათვის შეუწირავს: დანარჩენებს-კი 120 მან. ჰყიდისო თითოს.

◆ ს. ნახახულევი (ქუთ. მაზრა). 10 თებერვალს ნახახულევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ჰქონდა წლიური კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. მელაძე, მდივნად ბ. დოჩვირი. განსახილველი საგნები იყო: 1) გამგეობის მიერ წარმოდგენილი წარსული წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება; 2) წარსულის წლის მოგების განაწილება; 3) მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 4) გამგეობისა და რევიზიის წევრების არჩევა (ვისაც ვადა გასდის); 5) კრედიტის გახსნის თაობაზედ მოლაპარაკება და 6) რევიზიისა და გამგეობის წევრების გასამრჯელოზედ მოლაპარაკება. დადგენილ იქმნა: 1) წლიური ანგარიში იქმნა დამტკიცებული; 2) წარსულის წლის მოგებიდგან გადადებულ იქმნას სათადარიგო თანხად 100 მან., დივიდენდათ (დასარიგებლად) 817 მან. და 48 კაპ., უძრავ ქონების შესაძენად 20 მანეთი, ქონების ხარჯების დასაფარავად — 6 მან. და 73 კაპ., კომიტეტში გასაგზავნად 8 მანეთი. მოგება იყო წარსულ წელს 952 მან. 21 კაპ. 1-ელ იანვარს ამხანაგობას ჰქონია: პაი — 7,154 მან. და 31 კაპ., მობარებული ფული 2,651 მან. და 78 კაპ., სათადარიგო თანხაში 267 მან. და 69 კაპ., გასავლითი 115 მან. 66 კაპ., მოგება 952 მან. 21 კაპ.; სულ 11,141 მან. და 85 კაპ. ამ ფულებიდგან სესხად იყო გაცემული — 10,629 მან., ნაღდი ფული 380 მან. და 85 კაპ., ქონებად 132 მან. სულ 11,141 მან. და 85 კაპ.

შემდეგ არჩეულ იქმნა საჭირო წევრები და დაენიშნათ საჩუქარი. ამხანაგობას ჰყავს 146 წევრი.

◆ ს. მახათჯი (ქუთ. მაზრა): აქაურის საზოგადო დუქნის ამხანაგობის წევრთა კრება შესდგა ამ წლის 27 იანვარს. თავმჯდომარედ იყო ამორჩეული ბ. დოჩვირი, მდივნად ი. ბარაბაძე. განსახილველი საგანი იყო: 1) გასული წლის მოგების დანაწილება; 2) გამგეობისა და რევიზიის წევრების არჩევა; 3) წესდების განხილვა და 4) ვაჭრობის წესიერად წაყვანა. თათბირის შემდეგ დაადგინეს: 1) მოგებიდგან სათადარიგო თანხად გადაიდვას 120 მანეთი; 2) რევიზიის ოთხ წევრს მიეცეს 20 მანეთი საჩუქრად; 3) 67 მან. გადიდდეს დუქნის თანხად და 4) დანარჩენი დანაწილდეს წილის ფულზე თანასწორად. მიუხედავად იმისა, რომ 1901 წ. დუქანს წასულ წლებზე უფრო მეტი ხარჯები ჰქონდა, მაინც მოგება საკმარისად დარჩა, სულ 1,210 მანეთი და 26 კაპ. 4 იანვარს დუქანს ჰქონია პასსივი: წილის ფული 4,429 მან. და 14 კაპ., სესხი 1,528 მან. 40 კაპ., სათადარიგო თანხა 310 მ. 91 კ., შემოსავალი გადასახდი წარსული წლისა 57 მან. 73 კაპ., ბიბლიოთეკისათვის 30 მან., გასავლითი 7 მან. 6 კაპ., მოგება 1,210 მ. 26 კ. სულ 7,575 მან. 5 კაპ. აქედგან აქტივი: სავაჭრო საქონელი 3,374 მან. 14 კაპ., შენობები: ა) საკუთარი სავაჭრო სახლი დაფასებული 1,945 მან. 78 კაპ., ბ) პარკის სახმარი ფარდული 650 მან., გ) ნისია ირიცხება ამხანაგებზე საქ. 1,032 მან. 63 კაპ., დ) კასაში 570 მან. 50 კაპ.; სულ 7,573 მან 5 კაპ. გამგეობის წევრად არჩეულ იქმნენ: ლ. ჩიმაკაძე, მღ. ბ. მელაძე და ბ. დოჩვირი სამის წლით და რევიზიის წევრებად მამელაძე, ი. ბარაბაძე და მ. ფირცხალავა.

კრების შემდეგ დუქნის დაარსების ინიციატორმა ლ. ჩიმაკაძემ ურჩია კრებას იზრუნონ შემდეგისათვის, რომ როგორმე მოხერხდეს მიწის სამუშაო იარაღების შექმნა.

ჯერ-ჯერობით ამ დუქანს დღეში 20—30 მანეთის ვაჭრობა აქვს. წევრთა რიცხვი 185 არის.

◆ გუდაუთი: ღვთისაგანაც და კაცისაგანაც მივიწყებული დაბა თუ გინდათ, სწორედ ჩვენი გუდაუთია. არავითარი წარმატება მაინც და მაინც არ ეტყობა ჩვენს ცხოვრებას. აქ, ეკკლესიის ახლოს, სამიკიტნოები იყო, საცა ჰყიდნენ ღვინოსა და არაყს და იყო ერთი მთვრალობა. გუდაუთის უფროსმა აღუკრძალა მედუქნეებს ასეთი უწესოება და დუქნები გადაატანინა ეკკლესიის სიახლოვიდგან, მაგრამ მიკიტნები მაინც თავისას არ იშლიან და ისევ ახერხებენ როგორღაც ვაჭრობას ეკკლესიის ახლოს, მხოლოდ არაყს არ ჰყიდიან და მარტო ღვინოს აძლევენ მუშტარს, თითქო ღვინო-კი არ ათრობდეს კაცს და უწესოებას არ მოაქმედებინებდეს. მამასახლისი და „დეპუტატებ“-კი გვყავს, მაგრამ ნაკლებად ჰზრუნავენ დაბის წარმატებისთვის.

## წერილი ქუთაისიდგან

(ქალაქის საქმეები *).

18 თებერვლის საბჭოს კრებამაც ხმოსნების არა-ჩვეულებრივ (40-დე) რიცხვს მოუყარა თავი. მიზეზი ამისიც ქუთაისისათვის მეტად საჭირო საქმის გადაწყვეტა იყო. ეს საქმე მილის წყლის გამოყვანის საქმეა, რომლის კაბინეტებში წარმოებას გვეგონა ბოლო ეძლეოდა, მაგრამ მისმა ხელმძღვანელმა ერთხელ კიდევ გვითხრა, მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო. ქალაქის საქმეების გაწეს-რიგებაში იმერნი, სხვაფრივ მოუთმენელნი, მეტად მომთმენნი ვართ. ამგვარობაში, ვინც რა უნდა გვისაყვედუროს, ჩვენ არ გავწითლდებით.

22 თებერვალს ქალაქის კონცესიონერის მიხაილოვის მიერ წარმოდგენილი პროექტი საბჭოს კომისიამ უკვე განიხილა. კომისიამ საგუბერნიო ინჟენერების: ა. შტემლერის, ი. კურჩევსკის და ქალაქის ინჟენერ-არქიტექტორის ფონ-შულცის ფრიად ვრცელ შენიშვნებზე დამყარებულმა, წარმოადგინა 19 თებ. თვისი აზრი მიხაილოვის პროექტის შესახებ. სპეციალისტებს, როგორც მათი (განსაკუთრებით შულცის) მოხსენებიდგანა სჩანს, გულდასმით გაურჩევიათ მიხაილოვის პროექტი და მრავალნაირი შესწორებანი და სავალდებულო ახალი მუხლები ჩაურთავთ შიგ.

ბ-ნი მიხაილოვი, ალბად, დარწმუნებული, რომ ქუთაისის მკვიდრი არც მაგრე დიდის კულტურულ პრეტენზიებისაა და ჩემს არა რთულ პროექტითაც დაკმაყოფილდებაო, სულ იმას ცდილა, რაც შეიძლება, იაფად დაუსვას „ტფილელ ამხანაგობას“ ეს სავაჭრო საქმე, რათა მის მონაწილეთ მცირედმა დივიდენდმა საქმეზე ნაადრევად ხელი არ აღებინოს. რა თქმა უნდა, არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მიხაილოვი, როგორც წარმომადგენელი „ამხ“-ისა, დაინტერესებულია სასწორი მათკენ გადახაროს და მათის თანხის ერთგული მოსამსახურე იყოს. მას ამ საქმეში ქვეყნოქმედებას ვერ მოვთხოვთ. სამაგიეროდ, ქალაქიც შესაფერ ღონის ძიებას უნდა ხმარობდეს თვისი, ასე თუ ისე უკვე შემუშავებული, საკონცესიო უფლებანი პრაქტიკულად მაინც (მუშაობის დროს) ღირსეულად დაიცვას და საქმეს გულ-დადებით მოეკიდოს, რადგან ამაზედ საჭირ-ბოროტო, საშვილიშვილო და დიდს საქმეს ქუთაისი, ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, ვერ ეღირსება...

18 თებ. კრებაზე ხმოსნების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ წვრილმან ინსტრუქციების და მოვალეობათა წერას მიხაილოვისათვის დღეს ნუღარ გამოვუდგებით, კონცესიონერს ჯიბრში ნუღარ ჩავუდგებით, საქმე ისედაც დაგვიანებულია და, დეე, დაიწყოსო: нужно какъ-нибудь покончить съ этимъ вопросомъ“-ო და აი, ამ თავიდანვე „какъ-нибудь“-ობით გადაწყვეტამ დღეს ეს საქმე სასამართლოს კარებამდინაც მიიყვანა.

ხოლო ხმოსნების მეორე ნაწილი სამართ-

*) ამ წერილის დაბეჭდვამ დაიგვიანა იმიტომ, რომ სტამბის ძებნამა და მისმა მოწყობამ დააბრკოლა გაზეთის ბეჭდვა რიგზედა. რედ.

## ფელეტონი

### თაგვო-თაგვობა.

(ყველიერის სურათი).

ყველიერი თავდება; კვირაა; ამაღამ აღების ღამეა; სოფლად ყველა სახლობა ვახშმის თადარიგს შეუდგა. ხარშვენ თევზსა, ფლავსა, აცხობენ ხაჭაპურებსა და ქადებსა, რომ დაივახშმონ და აღების-ღამე დაიყენონ. სამხრად ხარბად გაძენძილ-გამაძღრებმა გოგო-ბიჭებმა ბევრი იქანავეს მაღალ კაკლის ტოტზე ჩამობმულ საქანელაზე, ეგება კიდევ მოგვეშივდეს და ვახშამს გულიანად შევექცეთო; ან კიდევ წყვილ-პანტობანასა და ჩალიჩში ჩაებნენ; გააქვთ კიჟინი და გაბმით ჰო...ო...ო-ს ძახილი; ძლივს ეს ერთი კვირა ერგებათ ხოლმე ყველიერში სათამაშოდ, თორემ სხვა დროს ვინ მოაცლით.

აგერ დაბინდდა; ვახშმად ერთმანეთი დაპატიჟეს მეზობლებ-განაყრებმა და შელაგდნენ სახლებში. ბაბალემააყენა კეციდამ ქადები და ხონჩაზე დააწყო; ერთი ქადა ჩანიშნა და სთქვა: — „ეს ჩემ ბიჭსა, თაგვებს რომ გარეკამს, მაშინა.“ მალე მისი შვილი შაქროც შემოვიდა ნათამაშევი და კერას მიუჯდა.

„აბა, შვილო, გენაცვალოს დედაი, რას დაჯექი? — წადი, გძელი ასკილი მოსჭერ და მოიტანე, რომ თაგვები გავრეკოთ. აბა, შეხედე, რა გულიანი ქადა დაგიმზადე.“

— ეხლავე, ეხლავე! აბა ჩემი სასხლები მომეცით, მომიტანე, კატუკა!..

— აბა, სად არის, სად შეინახამ ხოლმე, რომ კაცი ვერ იპოვნის?

— მარა, რომ მოიპარავ და მიჩლუნგებ ხოლმე რა!..

— მე ვიცი, საცა არი — წამოიძახა დიდედა ბაბალეს გვერდში ამომჯდარმა პაწია ნატამ.

— იცი და მომიტა, აბა! — უთხრა შაქრომ.

— თუ მეც მაწმევ ქადაცა, მოგიტან, — სხაპა-სხუპით მიუგო ნატამ.

— არა, შვილო, არავის გეჭმევათ, ვინც თაგვებს გარეკავს იმის მეტსა, — დაარიგა ბაბალემ.

— ჰა-ჰაა-ჰააა-ჰა-ჰააა, გაისმა ხმა გარედ.

— ჰიიი! — აგერ იმათ კიდევაც გამორეკეს თაგვები, ადე-ადე, შვილო, ჩქარა.

შაქრო მარდათ გაიჭრა სახლევით გარეთა და თვალის დახამხამებაზედ შემოარბევინა ეკლებით გახორხლილი გძელი ასკილი.

— აი, ისეთი ეკლიანია, სულ ხელები დამაკაწრა ამ ტიელმა.

— უყურეთ ახლა თაგვებს, შიშისაგან როგორ დაფთხებიან და გაიქცევიან თარო-კედლებიდგან! — სთქვა კატომ.

— მელე, ჩვენმა ფისუამ ლაღა დაიჭიროს ხოლმე, ჰა! სთქვა წყენით ნატამ.

მაგრამ ნატას წყრომას ყური არ უგდო ბაბალემ, აიღო ამონიშნული თაგვე ქადა და მისცა შაქროს.

— აჰა, შვილო, ხელში დაიჭირე და გამოირეკე თაგვები ჯერ მარნიდგან, მერე სახლიდგანა, მერე ბოსლიდგანაც გარეკე.

— საით გავრეკო, მითხარით?!

— აი, ბატონიანთკენ, იმათ ბევრი სარჩო აქვთ და ჭამონ, — ურჩია კატომ.

— არა, შვილო, ბატონიანთ ეწყინებათ, აისრე საბძლებისკენ გარეკე, დაჯექი ლამაზად, ცმუცნე ქადა და ისე მოდი...

— ჰა-ჰაუ!.. — მოისმა კიდევ ხმა.

— აგერ სინუკაანთაც გამორეკეს, დააშურე შენცა, შვილო, ერთად დასხედით და ქადა ისე შეჭამეთ.

— მაცათ, მაშა... შაქრომ ქადით და ასკილით ხელში დაიწყო თაგვების გამორეკვა მარნიდგან. ასკილს უჩიჩხვირებდა აქა-იქ კუნჭულებში და თაროებში, თან გულმოდგინედ ულოცავდა: „თაგო-თაგო, გარედ გადი, ანგელოზო, შინ შემოდი! თაგო-თაგო, გარედ გადი, ანგელოზო, შინ შემოდიო!“ — მერე შემოვიდა სახლში და ახლა იქ დაუწყო თაგვებს რეკვა. კატოს პატრა მუგუზალი ჰქონდა ბუხარში ამონიშნული და ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა. როგორ მივარტყამ ფეხებში, როცა კარებში გავა, — ფიქრობდა გულში; შაქრომ კარგად იცოდა ესა და ფიცხლად გავარდა კარებში, მაგრამ კატომ მუგუზალი მარჯვედ შემოსტყორცნა და მიაძახა: „ეგეც შენაო!“.

— უჰ-უჰ! — რამოდენა მამლო ამ სასიკვდილემა და ლოცვით შევარდა ბოსელში! იქიდამაც გამორეკა თაგვები და ჯილდოთ სოსოსაგან დამზადებული მუგუზალი მოხვდა კვლავ ფეხებში.

— ჰა-ჰაუ!. — ხლა ამანაც დაიძახა სხავასავით.

— ჰა-ჰააუ!.. მოისმა მეორე მხრიდგან ხმა.

— მიტრო, შენა? — წამო ქადები ერთათა ვჭამოთ. ბიჭები ყიჟინით გამოუდგნენ თაგვებსა. როცა სთქვეს, ახლა აღარ დაბრუნდებიან თაგვებიო, მიაყარეს ასკილები, დასხდნენ და შეექცნენ ქადებს და მომცინარნი შევიდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

— საით გარეკე? — ჰკითხა კატომ.

— აიქ, საბძლებისაკენ, მიტროსაც გამოერეკა და ერთათა ვჭამეთ ქადები.

— მერე, ვახშამი რო აღარ გიამება, — დაცინვით უთხრა კატომ.

— არ მიამება, შენმა მზემ, შენ შეშჭამ ჩემტელას, მომეცა იქით, გავთბე. რასიცივეა ეს ოხერი ამაღამა.

— მელე, თაგვებს აღ შესცივათ? — ჰკითხა ნატამ.

— შესცივათ, იმათმა ოხრობამ, საცა ისინი შეძვრებიან, ძალიან შესცივათ... რა შეაცივებთ!

— ლატო აღ შესცივათ, თუ-კი შენა გცივა?...

ამ კითხვის დროს ჩიტოანიც შემოვიდნენ ხონჩით, რომელზედაც ვახშმის ულუფა ეწყო და ნატას პასუხი არავინ მისცა.

— ჯერ თქვენ ისევ ამზადებთ? ჩვენ რა ერთი ხანია მოვამზადეთ ვახშამი და აგერ მოვედით კიდეც, უთხრა ბაბალეს ჩიტოს ჯალაბმა.

— დამიგვიანდა, მაგრამ მაინც არ არის გვიან, ჯერ თავადების ვახშმობა სად არის; მანამდის მოვრჩები კიდეც. ჩიტომ ხონჩა ძირს დადგა, ბაბალემ სუფრას შლა დაუწყო. სოსოც შემოვიდა, მოუსხდნენ სუფრასა და ვახშამს მოეწყვნენ.

— აბა, გენაცვა, ბატონო, ჩემი ქადისა მოტეხე; მართალია, შენისთანათ ვერავინ გამოაცხობს, მაგრამ მეც კარგი სუქანი გამოვაცხე, ჩიტომ რომ თაგვები გარეკა, მერესაცა მთხოვდა, ისე იამა, — არა, ჩიტო? — მოაწონა თავის ნამცხვარი ბაბალეს მარიამმა.

— მართალია, შენ რომ ხარ — ხარ, ყოჩაღი მყევხარ, — უთხრა ჩიტომ ცოლსა.

— აბა, სოსუკა, თამადათ შენ დადექი — სთქვა ჩიტომ და გადასცა თან ღვინით სავსე ყანწი.

სოსომ დინჯად ჩამოართვა ყანწი და დაილოცა:

— დიდება ღმერთსა მოწყალესა, ღმერთო, შენა სწყალობდე ჩვენ ოჯახსა, შენი მშვიდობა მოგვეცი, დაგვასწარი მრავალ ყველიერსა, გაგიმარჯოთ თქვენცა, მარხვა სინანულისა მოგვცეთ და აღდგომა სიხარულისა მოგვაროთ.

— გმადლობთ! როცა მიირთვა, გაამოს — და ჩიტომ თევზის ნაჭერი შესთავაზა.

— ალავერდი, ჩიტო!

— შეგეწიოს მაღლა ღმერთი! ცეცხლი გაუმხიარულდათ. მოვახშმენი ხარბად შეუდგნენ ვახშმის ჭამას, თითქოს უნდათ იმდენი შესჭამონ, რომ ამ შვიდ კვირას ეყოთო; ამ დროს ბატონიანთ ბიჭმაც გაჰკივლა ჰა-ჰაუუ! და თარო-კედლებიდგან გამორეკილ თაგვებს გაეკიდა.

— აკი მაგათ არა სწამთ ჩვენი არაფერი! რათა რეკენ თაგვებსა? — იკითხა მარიამმა.

— სწამთ, მაგრამ არ უნდათ ამითომ ჩვენსავებ მოიქცნენ: ლამის მამა-პაპური წესი სულ დაივიწყონ, რაკი წიგნს ისწავლიან!...

[illegible]

ლიანად ამტკიცებდა, ნუ აჩქარდებით, ჩვენ ჩვენი უფლება-მოვალეობანი ახლავე დაწვრილებით განვმარტოთ, რომ მერე საქმე კიდევ სადაოდ არ გაგვიხდეს და ქალაქს ზედ მეტი ხარჯები არ მიეცეთ.

მიხაილოვის პროექტში კომისიამ 23 ახალი მუხლი ჩაურთო სავალდებულოდ. მაგ. კონცესიონერს დაავალეს წარმოადგინოს სწორე ანგარიში იმისა, თუ რამდენი წყალის აყვანა მე-2, 3 და 4-ე სართულში შეიძლებოდეს, რადგან დღეს თუ ქუთაისში ამგვარი სახლები ცოტაა, მომეტებულად ერთ-სართულიანია, ხვალ და ზეგ ქუთაისიც მიიღებს ნამდვილ ქალაქის სახეს და აი, ამ დროისთვის ახლავე უნდა უზრუნველ-ჰყოთ ქალაქი. აგრეთვე უზრუნველ უნდა ჰყოს მიხაილოვმა ქალაქი, რომ გამართულ იქმნას ცეცხლის მქრობელი ონკანები ქალაქის მაღლობ ადგილებში, მაგ. გამაშენებლის და არქიელის გორაზე, სავაჭროებს და შვენე ყვავილებზე, ქალაქის უბნავერ ქუჩებში: ბალახვანისა, გაგარინის, გულაანთის, ორბელიანისა, მესხისა, გაგუასი და სხ. მილი უნდა გამოიყვანოს წყლის მილები ფართე, ზეული ფაბრიკების სიდიდე ყოველ მუდმივ დადგეს პოპა-მოთქ, რაც მიხაილოვისგან ჰქონდა გამოხატული შუბლა. უნდა ძალზედ იყოს წყლის საჭიროს სიძლიერე და დახურული სათავის აგზები წყლის სისუფთავის დასაცველად და, ერთის სიტყვით, ყოველივე მასალა მკვიდრი და გამძლე უნდა იყოს, რომ იკმაროს არა მარტო საკონცესიო ვადის (34 წელი) გასვლამდე, არამედ შემდეგაც, როცა ქალაქის საკუთრებად შეიქმნება წყლის მილი.

$11^1/_2$ საათზე ზოგიერთმა ხმოსნებმა საყვედური განაცხადეს, რატომ თვით ინჟენერები არ არიან კრებაზე მოწვეულნიო; უიმათოთ არ შეიძლება ზოგიერთა საკითხის გადაწყვეტა და ამიტომ კრება გადიდვას ხვალისთვისათ და დაავალეს ქალაქის თავს მოეწვია ქალაქის არქიტექტორი შულცი.

19 თებ. კრებაზე მიხაილოვის თანდასწრებითვე ლაპარაკი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ როგორ უნდა გაიყვანოს მან ქალაქის ხიდებზე წყლის მილები. რადგან არ იცოდნენ ამ ხიდების სიმაგრე და სიმკვიდრე, ადვილი შესაძლებელია რკინის მილებმა დაახიანოს და ჩასტეხოს, ამისათვის დაავალეს მიხაილოვს ექვსის კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ანგარიში იმისა, თუ როგორ უფრო მოსახერხებელი იქნება ხიდებზე მილების გაყვანა, რომ არ დაზიანდეს სიმძიმითა.

ასე და ამ ნაირად შეთანხმდნენ ქალაქის მამანი და ინჟენერი მიხაილოვი მილის წყალის გამოყვანის პირობაზედ. რამდენად პირიანად შეასრულებენ კონტრაგენტები თავიანთს პირობას, შემდეგ აღმოჩნდება...

*
* *

19 თებ. ერთხელ კიდევ გაიხსენა ქუთაისის პოლიციის მეთაურმა თავის ხელქვეითთა (ვითომ) გაჭირვებული მდგომარეობა და მიჰმართა საბჭოს ნება დართოს მოიხმაროს ის ფული, რომელიც რჩება ყოველ-წლივ პოლიციის საჭიროებათათვის გადადებულ ფულიდან. ამგვარი ფული ამ ორის წლისა 1,500 მანეთამდე მაქვსო, და აი, ეს ფული მინდა მოვახმარო „გოროდოვების“, „сыскной полиціи“-ის მდგომარეობის გაუმჯობესებასაო. მაგრამ ამგვარ ხარჯებს ხმოსნებმა ეჭვის თვალით შეჰხედეს და ითხოვეს, დაევალოს (პოლიცმეისტერს) წარმოუდგინოს ქალაქს ყოველივე ანგარიში, რაში რა იხარჯებაო...

*
* *

ურიების უბნის სანიტარულმა დასმა ამ ორის თვის წინად შავის ჭირის მოლოდინში, რადგან სხვა ველარა იღონა-რა, გააკეთებინა ამ უბნის მცხოვრებთ ქუჩებში დასადგმელად 7 სანაგვე ყუთი, რომლებშიაც სახლის პატრონებს ეზოების ნაგავი უნდა ეყარათ. დღემდე ეს ყუთები სანიტარულ დასის მხრივ ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ურიების უბანში დამკვიდრებულ უწმინდურობის მოსასპობლად. მცხოვრებლებიც ძლიერ მადლიერნი იყვნენ იმათის შემომღებლებისა.

მაგრამ დღეს-კი სასანიტარო დასის ასეთი საჭირო განკარგულება ქუჩებში წესიერების დამცველთა მეთაურს დაუგმია, ეს ყუთები წესიერების დარღვევად მიუჩნევია და ფიცხელი განკარგულება მოუხდენია აღლოთ, გაეუქმებინათ. ხალხი ჩივის: „აღარ გვაყენებენ, ბატონო, აიყარეთო, გვეუბნებიან და რა წყალში გადავარდეთ, აღარ ვიცით. ღვთის შვილებმა (ლოცავდნენ სასანიტარო დასის წევრებს) სიკეთე გვიყვეს, უწმინდურობისაგან გაწმენდას გვპირებდნენ და ახლა ყოველივე მოგვისპეს. რაც გაგვეწყობოდა, ვცდილობდით წმინდათ ვყოფილიყავით, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ბატონო, ყუთები აღარა გვაქვს, სანაგვე „ტაჩკებიც“ გვიან-გვიან დაიარებიან ნაგვის წასაღებად და ამიტომ ვრჩებით ისევ ნაგავშიო“.

როგორც ჰხედავთ, მცხოვრებთ სისუფთავის დაცვის სურვილი გაჰღვიძებიათ და რას ვხედავთ: არც ქალაქი, არც პოლიცია ამას ხელს არ უწყობს, პირ-იქით კერძო კაცთა თაოსნობას ხელსაც უშლის...

*
* *

ქალაქის საქმეებს შევეხეთ და ერთხელ კიდევ გვინდა გავახსენოთ იმათ, ვინც ასე გულმავიწყობს, რომ სწორედ იმ ადგილას (გაგარინის ქუჩიდან კათოლიკების გადასახვევში, რიჟინაშვილის სახლის ყურეში), სადაც ამას წინად ექიმის ხეჩინოვის მეეტლის ცხენმა ფეხი მოიტეხა, ჩამტვრეულ ტროტუარის ხრამში ყაჩაღ ლორთქიფანიძის საქმის გარჩევის დროს სასამართლოდგან მომავალს აუარებელ ხალხში, ერთ ქალს ფეხი ჩაუვარდა და რომ იქვე ხელი არ ეტაცნათ და გვერდზე გადაწოლისაგან არ გადაერჩინათ, შიგ შუა-გულ წვივში მიემსხვრეოდა ფეხი. მერე, მარტო გაგარინის ქუჩაზე როდია ამისთანა თავ-პირ და ხელ-ფეხ სამტვრევები,— თითქმის ყოველ ქუჩაზე შეჰხვდებით და, აბა, ერთი იფიქრეთ, ამგვარ უბედურ შემთხვევათა მაგალითებით როგორ გუნებაზე დადგებიან ეტლებით მოსიარულენი?!. ყოველს ამას ქუთაისის მკვიდრი ძალაუნებურად ურიგდება და მოთმინებით იტანს...

*
* *

„ამ ორს დღეში (19 და 20) ორი კაცი მოჰკლეს დუქანში ქეიფის დროს. ორს ახალგაზდას—ხარაზს და თერძს ერთმანეთში ძველი შუღლი ჰქონიათ და პურის ჭამის დროს გაჰხსენებიათ. ერთს მეორისათვის აუტეხნია ჩხუბი და დაუჭრია ხანჯლით. დაჭრილი გაქცეულა, უშოვნია რევოლვერი, დაბრუნებულა და, როცა დამჭრელი ხელ-ახლა წაჰკიდებია, უსვრია რევოლვერი და იქვე მოუკლავს.

*
* *

მეორე მოკლულიც რევოლვერის მსხვერპლი გამხდარა, მხოლოდ უცაბედობით-კი. 20 თებ. ნაშუადღევს ლეჩხუმელი (ს. ჭყეპელი) ახალგაზდა ჯარის-კაცი სილაკაძე შესულა მეხანიკ-ზეინკალთან (სულაძის დუქანში, ჯაჭვის ხიდთან), ამოუღია რევოლვერი და უთქვამს ბიჭისათვის, წამხდარია და გამიკეთეო. პატრონს დაჰპირწყებოდა, რომ შიგ ტყვია იყო. მკეთებელს აუღია ხელში, მოუწევია ჩახმახი, რომელსაც უცებ აჰსხლეტია ფეხი და პირით პატრონისკენ მიშვერილი რევოლვერიც გავარდნილა, მოჰხვედრია (სილაკაძეს) შიგ გულში და იმ წამსვე დაულევია სული. მკვდარს ჯერ პატრონი არ აღმოსჩენია და წაიყვანეს სამხედრო სამკურნალოში გასაჭრელად.

ისო.

## ოზურგეთის ქალაქის საბჭო.

25 თებერვალს მოხდა ჩვეულებრივი კრება ოზურგეთის ქალაქის რწმუნებულთა. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი დ. ზ. ცხვედაძე.

საბჭოს მოხსენდა წარსულის კრების ანგარიში; ანგარიშიდგან გავიგეთ, რომ წარსულ კრებაზე საბჭოს თანხმად ხმოსანის თ. დ. კ. ერისთავის წინადადებისა, მომავალ თეატრისთვის დაუთმია საქალაქო ბაღში ადგილი. მაგრამ ვინ იქნება, რომ აშენება იკისროს, ეს-კი ჯერ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ამას წინად დანგრეულ იქმნა ქალაქის კუთვნილი წაბლის სახლი თეატრის მასალად; ვიცით ისიც, რომ ეს ფიცრები თითოეულად დაიკარგა; ისიც ვიცით, რომ ამავე საგნისათვის გაიმართა რამდენიმე წარმოდგენა, შეგროვდა რამდენიმე ასი მანეთი, მაგრამ ის-კი არ ვიცით, დღეს ეს „თეატრის ფონდი“ სად არის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბაღში გაიოზ ყრუაძის ხელმძღვანელობით გაკეთდა თეატრის საძირკველი—გაკეთდა და იქვე ჩალპა.

თეატრი რომ აუცილებელი მოთხოვნილება დღეს ოზურგეთისთვის, ეს აშკარაზე აშკარაა. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიმართლებთ თავს მით, რომ ფული არ არისო. დალოცვილებო, თუკი პატარა დ. ნაგომარმა წარსულის წლის განმავლობაში ააგო მშვენიერი მკვიდრი და შესაფერი ქვითკირის შენობა, ღირებული ექვსი ათას მანეთად, ნუ-თუ ოზურგეთს გაუჭირდება? მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „ბევრის ძიძის ხელში ბალანაი უჭმელი მოკტაო“. ჩვენც, ოზურგელებსაც, ეს ბევრი „ძიძები“ გვიკლავს ბალანას შიმშილით. ყველას მეთაურობა-პირველობა უნდა, უკანასკნელობას-კი არავინ კადრულობს.

წინანდელ სხდომაზე გადაუწყვეტიათ ქალაქის ამბულატორიის გასაუმჯობესებლად და მის ინვენტარის შესაძენად გადაიდვას 135 მანეთი, ხოლო წვრილმან ხარჯად—50 მ.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ერთად-ერთი ნაყოფი, ყველას სასარგებლო, ოზურგეთის თვით-მმართველობის მოქმედებისა ეს ამბულატორიაა (შემდეგში სტატისტიკურის ცნობებით დავასაბუთებთ მის მიერ მოტანილს სარგებლობას). მაგრამ ვერ მივმხვდარვართ, ვერ გაგვიგია, რა მოსაზრებით ჰხელმძღვანელობდა „განახლებული საბჭო“, როცა მაგ ლარიბთათვის ფრიად სასარგებლო დაწესებულებას თითქმის მდიდრებისად ჰხდის. საქმე ის არის, რომ წარსულს წლებში, როცა ქალაქის კასსას ამბულატორიით ზარალი ეძლეოდა, ავადმყოფის გასინჯვა მხოლოდ ერთი აბაზი ღირდა. განახლებულმა საბჭომ-კი ექვსი შაური გახადა. ეს მით უფრო გაუგებარია, რომ წარსულს წელს ამბულატორიის აბაზიანმა შემოსავალმა თითქმის ხარჯი დაჰფარა.

წინანდელ კრებაზედვე გადაუწყვეტიათ, ამიერიდგან მეტი ყურადღება მიექცეს ბაზრის ზედამხედველისაგან, რომ პირველად ჩარჩები არ ყიდულობდნენ სოფლიდგან შემოტანილ სანოვაგეს.

25 თებერვლის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ წელს ქალაქის მოსალოდნელი შემოსავალი იქნება 9,754 მ. 52 კაპ., გასავალი-კი 9,701 მან. 20 კ. გასავალის ხაზებში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ქალაქს თვით-მმართველობის შენახვა უჯდება—3,413 მან., ქალაქის პოლიციისა—1,065 მან., ცეცხლის საქრობი—96 მან. დედათა სამინისტრო სკოლის შენობა 150 მან., სამრევლოსი 150 მ., ქალაქის სამკითხველოსი 100 მ., ქალაქში მოყიალე დაბნეულ საქონლის მოყურადღებეს 120 მ., სანიტარულს გაუმჯობესებას 100 მ., ქალაქის ექიმს 600 მ., ფერშალს 180 მ., ახალი ფარნების შესაძენად 140 მ., ქალაქის ბაღს 200 მან. იგივე ბაღი შემოსავალს იძლევა 75 მანეთს.

ჩვენ აქ მოგვყავს მშრალი ციფრები იმიტომ, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს, თუ საითკენ არის მიმართული საბჭოს თვალი. ამავე საბჭოს მოჰხსენდა, რომ ბიბლიოთეკის ძველი გამგე ბ-ნი ვაშაყმაძე თავს ანებებს თავისს მოვალეობასო. საბჭომ ამოირჩია ოთხი კაცი: ხმოსანთაგანი ბ-ნი ს. გრიაზნოვი, ხოლო გარეშეთაგანი ბ-ნნი თ. კიკვაძე, აპ. წულაძე და სამ. ვაშაყმაძე კომიტეტის წევრებად და მათვე მიანდო სამკითხველოს გამგის არჩევა მათ შორის. დასასრულ, დადგენილ იქმნა მარტის ნიხრი. პურზედ დასტოვეს ძველი მაზანდა 3 და 4 კაპ., ხოლო ხორცს მოუმატეს კაპეიკი გირვანქაზე—10—11 კაპ. როგორც წინანდელ ოქმებიდგან აღმოჩნდა, წინად სამკითხველოს კომიტეტიც ჰყოლია ხმოსანთაგან შემდგარი, მაგრამ ამ კომიტეტს არავითარის მოქმედებით თავისი არსებობა ამ საქმეში არ დაუმტკიცებია, ერთმა იმათგანმა სოლ. ჭეიშვილმა ისიც-კი განაცხადა, რომ არც-კი ვიცოდი, თუ კომიტეტის წევრი ვიყავიო.

## ხმა შორიდგან.

### გოგოლის იუბილეს გამო.

გაზეთ „Нов. Вр.“-ს 21 თებერვლის №-ში, რომელიც თითქმის სრულიად გოგოლის შესახებ დაწერილის წერილებით და ლექსებით არის სავსე, მოთავსებულია, სხვათა შორის, ერთი წერილიც: „Разноязычный Гоголь“. ამ წერილში მოყვანილია ცნობები გოგოლის უცხო ენებზე გადათარგმნის შესახებ და ჩამოთვლილია 24 ენა, რომლებზედაც, ავტორის თქმით, გადათარგმნილია გოგოლის თხზულებანი.

ჩამოთვლილ ენათა შორის მეოცე ადგილი უჭირავს სომხურს ენას, ხოლო ქართული ენა სულაც არ არის მოხსენებული. მართალია, ავტორი დასძენს: „По всей вѣроятности въ иностранныхъ и вообще въ иноязычныхъ журналахъ и газетахъ заключаются какія-нибудь свѣдѣнія о переводахъ изъ Гоголя также на языки мужицкій, грузинскій (вѣдь грузинская литература одна изъ самыхъ оживленныхъ въ Россіи инородческой)...“-ო, მაგრამ დაბეჯითებით არ იცის, მოიპოვება თუ არა ქართულს ენაზე გოგოლის თხზულებათა თარგმანი და ამიტომ არც იხსენიებს თავისს სიაში ჩვენს ენას.

მე მგონია, არ იქნებოდა ურიგო, რომ ვისმე ეთავა და, როგორც პუშკინის დღესასწაულის დროს გამოიცა ქართულად პუშკინის თხზულებათა თარგმანი, ისე ახლაც გამოეცა გოგოლისა. თუ არა ვცდებით, გარდა უკვდავის კომედიის „რევიზორისა“, რომლის ნახვითაც ჩვენს სცენაზედ არა ერთხელ დამტკბარა ჩვენი საზოგადოება და თვით უცხოეა, ქართულად უნდა იყოს ნათარგმნი: „Шинель“, „Повѣсть о томъ, какъ поссорился Иванъ Ивановичъ съ Иваномъ Никифоровичемъ“. ეს სამი თხზულება, ერთად გამოცემული, საუკეთესო საკითხავი წიგნი იქნებოდა ჩვენებურ, რუსულის არ მცოდნე, მკითხველისათვის, ხოლო თუ მე ვცდები და რომელიმე ამ თხზულებათაგანი არ არის ჯერ გადმოთარგმნილი, მგონია, ახლა მაინც უნდა იქმნან გადმოთარგმნილნი გოგოლისავე უკვდავ „Мертвыя души“-სთან ერთად და დაბეჭდილი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი ნათარგმნი ლიტერატურა ერთობ სუსტობს და თვით რუსულიდგანაც-კი ცოტა ნათარგმნები გვაქვს. მაშინ როდესაც, მაგალითად, მთელი განათლებული კაცობრიობა ლევ ტოლსტოის თხზულებათა კითხვით სტკბება, აგერ-აგერ რამდენი ხანია, ჩვენ სულაც არ მოგვეპოვება მის თხზულებათა თარგმანები და ეს სირცხვილია მარტო, სხვა რომ არა იყოს-რა! თუ გვინდა, რომ ერთა შორის ქართველი ერის სახელიც იხსენიებოდეს, როგორც იმაზე უნდა ვცდილობდეთ, რომ ქართველ სიტყვიერების ნაწარმოებნი ითარგმნებოდეს უცხო ენებზედ, არა ნაკლებ უნდა ვცდილობდეთ, რომ ქართულს ენაზედ გვქონდეს უცხო მწერალთა ნაწერები, კლასსიკურად ცნობილნი მაინც. ენები არ ვიცითო, იტყვიან. ეს რუსული ენა მაინც ხომ ყველამ ვიცით და რუსეთის კლასსიკები მაინც გადმოვთარგმნოთ. საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთ ჩვენებურ ახალგაზდის საქმე: არც მხატვრობითი ნიჭი მოეპოვება, არც ფანტაზია აქვს და მაინც ცდილობს ორიგინალურ ნაწარმოებთა შექმნას! მისთვისაც აჯობებდა და საზოგადოებისთვისაც, რომ ამის ნაცვლად ეთარგმნა რამე, მაგრამ არა, უეჭველად „ჩემი რამ“ უნდა ვსთქვაო და წვალობს ტყუილად, თარგმნას-კი არ კადრულობს...

დუტუ მეგრელი.

## რუსეთი

— ოფიციალურს „ფინლ. გაზ.“-ში მთავრობის მიერ გამოცხადებულია შემდეგი: 1901 წ. 29 ივნისის უმაღლესის მანიფესტის გამოცხადებისა გამო 3 და 10 თებერვალს ჰელსინგფორსის ორს ლუტერანთა ეკკლესიაში მომხდარმა ამბავმა მრავალი სხვა-და-სხვა გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შეუსაბამო მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად „ფინლ. გაზ.“-მა საჭიროდ სცნო გამოეცხადებინა, როგორც თვით მომხდარი ამბავი, ისრე მისი მოსამზადებელი აგიტაცია.

1901 წ. 29 ივნისის (12 ივლისის) უმაღლესის მანიფესტით გამოცხადებულ იქმნა ფინლანდიის დიდის სამთავროსათვის შემოღებული და უმაღლესად დამტკიცებული ახალი წესდება სამხედრო ბეგრისა. მალე ამის შემდეგ, ჰელსინგფორსში იწყეს შეკრებვა 1899 წ. საგანგებო სეიმის დეპუტატებმა და საპოლიტიკო მოღვაწეობით ცნობილმა სხვა კაცებმაც.

რამდენისამე კერძო ყრილობის შემდეგ, რომლებიც უმეტეს ნაწილად ცნობილის საპოლიტიკო მოღვაწის მეხელინის ბინაზე ხდებოდა, ყველა ზემოდ დასახელებულნი დეპუტატნი და საპოლიტიკო მოღვაწენი 4 (17) აგვისტოს შეიკრიბნენ ტურგოლმის კუნძულზე (ჰელსინგფორსის მახლობლად) და აქ შეადგინეს პასტორებისადმი წარსაგზავნი პროკლამაცია (მოწოდება). პროკლამაციით სთხოვდნენ პასტორებს თავისის მაგალითით წაექეზებინათ ხალხი, რომ უმაღლესად გამოცემულს მანიფესტს არ დაჰმორჩილებოდნენ, აგრეთვე არ გამოეცხადებინათ ეკკლესიებში კათედრიდგან, როგორც ამას თხოულობს კანონი, „რათა ამითი ახალს დადგენილებას არავითარის კანონიერობის ნიშან-წყალი არ დაჰჩნეოდა“ (უმაღლესის მანიფესტების საეკკლესიო კათედრიდგან გამოცხადება ხალხის გასაცნობლად კანონით და ჩვეულებით სავალდებულოა).

აღნიშნულს პროკლამაციას მალე მოჰყვა მეორე—„სამხედრო ბეგრის ახალის წესდების გამო როგორ უნდა მოვიქცეთ“, რომელსაც ქვეშ ეწერა „სეიმის ზოგიერთა დეპუტატები“ და ხალხში ძლიერ გავრცელდა.

უკანასკნელი პროკლამაცია, „მოქალაქეთა მიმართ მიმართული“, ურჩევდა მრევლს დეპუტატების პირით ეთხოვნათ პასტორებისათვის, რომ უმაღლესი მანიფესტი ეკკლესიებში კათედრიდგან არ გამოეცხადებინათ, ხოლო თუ რომელიმე პასტორი ურჩობას გასწევდა და მაინც მოისურვებდა მანიფესტის ეკკლესიაში გამოცხადებას, ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწია თვითონ მრევლს და ნება არ მიეცა მღვდლისათვის მანიფესტის წაკითხვისა. წინააღმდეგობის დროს ხალხს ყოველგვარი ღონისძიება უნდა ეხმარა და ხელი შეეშალა მღვდლისათვის, მაგრამ თუ ის თავისას არ დაიშლიდა, მაშინ დემონსტრატიულად ყველანი გარედ გამოსულიყვნენ.

გარდა ამ პროკლამაციებისა, გამოცემულ იქმნა მრავალი ბროშურა და ცალკე ფურცელი სტოკჰოლმიდგან და შტეტინიდგან, რომლებშიაც ხალხს ახალს წესდებას სამხედრო ბეგრისას სრულიად გადასხვაფერებით და განგებ დამახინჯებით აცნობდნენ. თანახმად ზემოდ აღნიშნულის პროკლამაციების პროგრამისა, უმაღლესის მანიფესტის ეკკლესიის კათედრიდგან გამოცხადებაზედ ზოგიერთმა პასტორმა სრულიად უარი განაცხადა. ზოგიერთებმა ფინლანდიის „სენატს“ წინაშე იშუამდგომლეს, რომ ამ მოვალეობისაგან გამანთავისუფლეთო, სხვებმა-კი შეუფერებელი და საწინააღმდეგო შინაარსის ქაღალდები შეიტანეს, რომ „უმაღლესს მანიფესტს კანონიერად არა ვცნობთო, ამიტომ „სინიდისით არ შეგვიძლიან ხალხს იგი კანონად გამოვუცხადოთ, რადგან ამითი არსებულს უფლებას და მიღებულ ფიცს დავარღვევთო“. სენატმა ყველა ამ შუამდგომლობაზე პასტორებს უარი განუცხადა და მისწერა სასულიერო კონსისტორიებს, რომ ახალის კანონის დროზე გამოსაქვეყნებლად შესაფერი ღონისძიებანი მიიღეთო.

დამნაშავე აგიტატორებმა ან არ დაუგზავნეს საპასტორო გამგეობათ კრებული დადგენილებათა, საცა იყო მოთავსებული უმაღლესი მანიფესტი, ან დიდ-ხანს დააბრკოლეს მათი გაგზავნა და ამასობაში საწინააღმდეგოდ მოამზადეს გავლენიანი ინტელიგენცია და თვით ხალხიც. ერთმა მაგისტრატმა გამოაცხადა კიდეც, რომ „ახალს წესდებას კანონის ძალა არ შეიძლება ჰქონდეს ფინლანდიაშიო“.

ზოგან განათლებულნი შედიოდნენ ეკკლესიაში და მრევლის სახელით უშლიდნენ პასტორებს, არ შეიძლება წაკითხვა კათედრიდან „იმისთანა საბუთებისა, რომელიც შედგენილი არ არის იმ წესით, რომელსაც მოითხოვს ძირითადი კანონებიო“. ზოგან ეკკლესიებშივე ფსალმუნებს გალობდა ხალხი და ამით უშლიდა პასტორებს მანიფესტის კითხვასა.

ერთს ეკკლესიაში განათლებულნი ძალათი ჰრეკდნენ ხალხს ეკკლესიიდან, ნუ მოისმენთ მანიფესტსაო, ხოლო, როცა პასტორი გარედ გამოვიდა, გამოსტაცეს ხელიდან საბუთები და კისრის კვრით გააგდეს.

ვინც ამ გვარ უწესოებისათვის პასუხის გებაში იქმნა მიცემული, იმათ სასამართლო ამართლებდა და არავითარს სასჯელს არ უნიშნავდა.

ზოგან კიდევ პასტორები, თუმცა სენატი და ეპისკოპოსნი უბრძანებდნენ, მაინც არ კითხულობდნენ მანიფესტს ეკკლესიაში. მოიწვიეს ისეთი პასტორები, რომელთაც მრევლი არა ჰყავდათ და იმათ დაავალეს კითხვა მანიფესტისა. ერთმა ამისთანა პასტორმა დაიწყო კითხვა მანიფესტისა ჰელსინგფორსის ეკკლესიაში 3 თებერვალს, მაგრამ მაშინვე გარს შემოეხვია ხალხი ერთის გაზეთის რედაქტორის მეთაურობით და შესძახა: „ფინთა ერის სახელით გთხოვთ შესწყვიტოთ კითხვა და ჩამოხვიდეთ ამბიონიდან“. ხალხმა დაიწყო გალობა ფსალმუნისა. პასტორი იძულებული იყო შეეწყვიტა კითხვა სამხედრო ბეგრის წესდებისა.

უწესოების მოთავენი პოლიციაში წაიყვანეს, შეუდგინეს განაჩენი და მერე გაათავისუფლეს.

10 თებერვალსაც ასევე მოიქმედა ხალხმა. მაშინ მოთავე იყო დირექტორი ერთის ფინურის სკოლისა. მონაწილეობას იღებდნენ დიდის თანამდებობის კაცნი, მაგისტრები ფილოსოფიისა და სხვა ნასწავლი კაცები. ერთმა ამ განათლებულთაგანმა ჯოხიც-კი დაარტყა პოლიციელს. მათ შორის მოსწავლე ახალგაზდებიც ბევრნი იყვნენ.

ყველანი პასუხის-გებაში იყვნენ მიცემულნი.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გლაზგოში ყოფნის დროს ლორდი როზბერი ერთს სიტყვას არ დასჯერებია. როზბერის სიტყვა წარმოუთქვამს სტუდენტთა მიტინგზედ, ბირჟის შენობაში, ვინდზორის სასტუმროში. უფრო საინტერესო იყო ეს უკანასკნელი სიტყვა, რომელშიაც იგი სალიბერალო დასს შეჰხებია. ვწუხვარო, უთქვამს როზბერის, რომ ლიბერალები ხელს არ იღებენ ძველ, დახავსებულ ფორმულებზედ. ლიბერალიზმმა უნდა იხელმძღვანელოს გონიერებით საშინაო პოლიტიკაში და ისტორიულის იმპერიალიზმით საგარეო პოლიტიკაშიო.

— 26 თებერვალს საგანგებო თათბირი ჰქონდათ მინისტრებს ირლანდიის საქმეების გამო. სამინისტროს აზრით საჭიროა რამე ზომების მიღება ირლანდიელთა, გაძლიერებულ აგიტაციის წინააღმდეგ. ზოგიერთ მინისტრებს საჭიროდ დაუნახავთ ირლანდიის ლიგის გაუქმება, მაგრამ უმრავლესობა წინააღმდეგი ყოფილა.

— ომის მომხრე გაზეთები სცდილობენ როგორმე შეასუსტონ ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ლორდ მეტუენის დატყვევებამ ინგლისელებზედ მოახდინა. „Daily Chron“. სწერს: ჯერ ვერაფერს ვიტყვით

ამ ბრძოლის შესახებ, რომლის დროსაც მეტეუენი იქმნა დატყვევებული, რადგანაც არაფერი ცნობები არა გვაქვს ხელთ. ეს-კი აშკარაა, რომ მეტეუენ გაუწყრენილა, სამხრეთ-აფრიკაში ახლა მისივით ჯარი მეყვანდა. ბევრი გაზეთი იმასაც ამბობს, რომ მეტეუენს მეტად მცირე ჯარი ჰყავდაო. ეს აზრი სიმართლეს მოკლებულია. თვით ლონდონელ გაზეთების სიტყვით, დაჭერილი ჯარი 1500 კაცისაგან შესდგებოდა. ამ 1500 კაცში მოჰკლა, დასჭრა და ტყვედ წაიყვანა 1000 ინგლისელი. თუ მარტო მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი ამდენი, აშკარაა ინგლისელნი ცოტანი არა ყოფილან. ბევრის აზრით, მეტეუენ რომ ორჯერ აღემატებოდა დელარეის ჯარს, როგორც უკანასკნელად მიღებული ცნობებიდგან სჩანს, მეტეუენს ჯარიდგან მოკლულნი 3 ოფიცერი და 38 ჯარის-კაცი; მძიმედ დაჭრილი ერთი პოლკოვნიკი, ექვსი ოფიცერი და 72 ჯარის-კაცი. მსუბუქად დაჭრილია 300 ჯარის-კაცი და [illegible]; ტყვედ წაუყვანიათ 650 კაცი და 200 უკვალოდ დაკარგულა.

— მეტეუენის დამარცხების ამბავი ელვასავით მოედო მთელ ლონდონს. [illegible] ხალხი ქუჩაში ხმა-მაღლა გაიძახოდა: ,,სად არის ჩვენი [illegible]? სად არის სამხედრო მინისტრი!" [illegible] ომის დაწყებიდგან დღემდე ეს პირველი შემთხვევაა, რომ ხალხი ქუჩაში ხმამაღლა ჰკიცხავს მთავრობას. იმპერიალისტები, ინგლისელნი, თვით სამინისტროს მომხრენი-ც, მთავრობის მოქმედებას გაჰკიცხავენ.

— როგორც გერმანული გაზეთები გადმოგვცემენ, მეტეუენის დამარცხების დღეს [illegible] ინგლისელთა [illegible]. ამ დამარცხების ამბავი [illegible] სამინისტროსათვის [illegible].

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** დელარეის მიერ ინგლისელთა გენერალის მეტეუენის დატყვევებამ მეტად დააღონა და დაამწარა ინგლისელნი. ეს ამბავი [illegible] ინგლისელებს. პარლამენტში, როდესაც სამხედრო მინისტრმა კიტჩენერის დეპეშა წაიკითხა, სამარის სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ირლანდიელებმა, ამ ამბით გახარებულებმა, ერთი სიცილი და ხარხარი ასტეხეს. [illegible]

დელარეი, მეტეუენის დამმარცხებელი, ისტორიის ცნობილი და სახელოვანი გენერალია სამხრეთ-აფრიკაში, როგორც არიან დევეტი და ლუი ბოტა. ამ გენერალმა ტრანსვაალისთვის იმდენი გააკეთა, რამდენიც დევეტმა ორანჟისათვის. [illegible]

[illegible]

**ჩინეთი.** [illegible]

იცავს. შინძინიდგან რუსეთმა თავისი ჯარი სამის თვის შემდეგ უნდა გაიყვანოს, გირინიდგან—ექვსის თვისა, ხეილიეჯანიდგან—ცხრა თვის შემდეგ. ჰფიქრობენ, რომ ერთის წლის შემდეგ მანჯურია ხელ-ახლა ისევ ჩინეთს დაუბრუნდება.

**იაპონია.** ინგლისურმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ მალე რუსეთსა და იაპონიას შორის ომი დაიწყობაო. ერთმა გაზეთმა პორტ-არტურიდგან ასეთი დეპეშა მიიღო: ,,აქ მოსულ ჩინელ ვაჭრებს ადგილობრივმა მოხელეებმა გამოუცხადეს, რომ ნებას არ მოგცემთ აქ ცხოვრებისას, რადგანაც მოახლოვებულია იაპონიასთან ომიო''. ამ ამბის გამო ერთი აურ-ზაური ასტეხეს ინგლისურმა გაზეთებმა. ეხლა ლონდონში მყოფი იაპონიის ელჩი აცხადებს, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულიაო.

## სუფსის უფასო სამკითხველოს ანგარიში.

სუფსის უფასო სახალხო სამკითხველოს 1901 წელს ჰქონდა შემოსავალი 180 მან. 27 კაპ. აქედან დაიხარჯა სხვა-და-სხვა ნივთის შეძენისა, წიგნების სყიდვისა, სამკითხველოს მცველის ქირისა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის 182 მან. 72 კაპ., ასე რომ ვალად დადეო სამკითხველოს 2 მან. 45 კაპ. ამ ანგარიშის განხილვისათვის კრება შესდგა ამა წლის თებერვლის 10 დღესა, რომელზედაც წევრთა გარეშე დაესწრნენ თვით დამფუძნებელნი წევრნი: კნ. ნ. გურიელისა და თ. ვახტანგი, ტელემაკ, ვარდენ გურიელნი. სია შემომწირველთა: ხუთ-ხუთი მანეთი თ. ვასილ გურიელმა, ა. ანტონოვმა და იესე გიორ. თავართქილაძემ. სამ-სამი მანეთი: ირაკლი ჭყონიამ, დიმ. გიგინეიშვილმა სოლ. ქარცივაძემ, მღ. ბ. ჩხარტიშვილმა, გრამ. სარჯველაძემ, ა. ალექსანდროვმა, მ. კლანიცკიმ, ნიკო გელენიძემ, პ. ჩერკაშინმა, მელ. ფარეიშვილმა, ნიკო ჭყონიამ, რ. ქელუჯოღლიმ. ორ-ორი მანეთი: ა. გერმანი, ევთ. ნაკაიძე, სარ. ნაკაიძე, ი. აიხოლსკი, მ. ჩეფოღლი, გიორ. გიგინეიშვილი, სოლ. გიგინეიშვილი, ლ. მგელაძე, ბედია კობახიძე და სიმონ ქორიძემ 1 მ. 50 კაპ. თითო მანეთი: ა. პეტრაშევსკი, კრიუკოვი, დ. ჯუღელი, ი. ასტახოვი, ო. ვოლკოვი, ახ. უზუნ-ოღლი, ე. კუტალაშვილი, მატ. კეჭელმაძე, ა. თავაძე, ლ. ჯიჯიეშვილი, კ. ხომერიკი, დ. კეჭელმაძე, ნოე ჭანტურია, პავ. ვადაჭკორია, ჯიმ. ტუღუში, რ. ხუბუტია, ლ. გოგოლაშვილი, ა. ჩხაიძე, ბოჩუა, ორჯოკინიძე, ერ. მოისრაფეშვილი, ერმალაევი, ს. კობახიძე, გრ. მოლაშხია, გ. ტ. და სიმონ ჩიკაშვილმა 60 კაპეიკი. ათ-ათი შაური: მ. თავაძე, ნ. თავაძე, ე. ტიკარაძე, კ. მჟავანაძე, ბ. ბილიხოძე, ნ. გოგუა, სალნიკოვი.

დიდ მადლობას ვსწირავთ ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს და კნეინა ნ. გურიელისას, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს სამკითხველოს თავიანთი შემოწირულებით. პირველმა შემოსწირა შექსპირის თხზულებანი და თავისი ნაწერები 21 ცალი წიგნი, ღირებული 6 მ. 35 კაპ. მეორემ სხვა-და-სხვა წიგნები 22 ცალი, ღირებული 11 მან. 80 კაპ.

გამგე სამკითხველოსი ნესტორ ხარგუაძე.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრივ, ისე სტეფანელების და სნოელების მხრივაც, ქ. ივან-გოროდის ციხის კომენდანტს, პატივცემულ გენერალს გიორგი ნიკოლოზის ძეს ყაზბეგს იმ თანაგრძნობისა და შემწეობისათვის, რომელიც აღმოუჩინა სტეფან-წმინდის და სნოს სკოლებს ასის მანეთის ფულად შემოწირვით, თვითოეულს ხუთ-ხუთის თუმნით.

ბლაღ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი.

### II

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა ყუმისთავის სამრევლო სკოლას სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები, ღირებული 20 მ., ანასტასია წერეთლისას, რომელმაც შემოსწირა რამდენიმე ცალი ქართული საყმაწვილო წიგნი და ალექსანდრე მიქაბერიძეს, რომელმაც თავისის ხარჯით სკოლას გამოუწერა გაზეთი „ივერია" და „ცნობის ფურცელი" «მოამბით".

სამრევლო სკოლის მასწ. გერასიმე რაყომია.

## დეპეშა

(,,რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან'').

7 მარტი.

**პეტერბურგი.** ბარონ ტოლის საპოლიუსო ექსპედიციისაგან ცნობა მოვიდა, რომ 21-ს გარდაიცვალა ექიმი გერმან ვალტერი. —შინა-მრეწველობის მოღვაწეთა კრება დაიწყება 12 მარტს და გათავდება 21 მარტამდე.

**დონის როსტოვი.** ქალაქი ჰმართავს პასტერის სადგურს.

**კიახტა.** დიდი თოვლიანი ზამთარი იყო; ზამთარმა ძლიერ დაბრკოლა ჩაის გადმოტანა მონგოლიის გზით. კიახტის მნიშვნელობა აღდგენილ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რკინის გზა იქნება გაყვანილი ურგუ-კალგან-პეკინზე.

**სტოკჰოლმი.** მეფეს უნდა ბიარიცში წასვლა, სადაც დარჩება რამდენსამე კვირას. იქიდან წავა ემსში. მეფე სტოკჰოლმში დაბრუნდება ივნისის დამდეგს.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სენატორი თავ. ლივენი. სამეცნიერო ფარმაციის კრებაზე შეიკრიბა 500-მდე კაცი. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს პროფ. მენდელეევი, თავმჯდომარედ პროფ. პელი. დიდი ინტერესი გამოიწვია პროფ. თარხნიშვილის ცდამ, რომელიც ასაბუთებს დაკვირვებას ეპილეფსიაზე ცერებრინის სასარგებლო გავლენის შესახებ.

**კოვნო.** სამოგიტის კათოლიკეთა ეპარქიის კაპიტული ეპისკოპოს პოლუკიონის მეთაურობით წარუდგა გუბერნატორად ნამყოფს როგოვიჩს და მიართვა 1800 მან. სამღვდელოთა შორის შეკრებილი დედათა გიმნაზიაში სტიპენდიის დასაარსებლად.

8 მარტი

**პეტერბურგი.** გალიჩის სამაზრო წინამძღოლი, თავად-აზნაურობის გრაფი გუდოვიჩი დაინიშნა იაროსლავის ვიცე-გუბერნატორად. რადგან მექაში და ჯედდში ხოლერით ავადმყოფობა გაჩნდა, მაჰმადიანთა გეჯაზში სალოცავად წასვლა საშიშრად არის ცნობილი ამიტომ დაბრუნებულ მლოცველთა შესახებ ეგვიპტეს აკარანტინებში მიღებული იქნება ხოლერის წინაამდეგ რეგლამენტის მიერ დადგენილი ზომები და ოსმალეთის პორტებში-კი შემოღებულ იქნება ათის დღის კარანტინის ბაგდადი გსნთავისუფლებულ იქმნა შავის ჭირისაგა. ,,პრინცის ოლდენბურგელის ავადმყოფობის ბიულეტენი 7 მარტს: გუშინ უდიდესი ტემპერატურა 37,8; ოთხის საათით დღითი ძილის შემდეგ მისი უმაღლესობა მარჯვედ გრძნობდა თავის თავს; ლონე და მადა კარგი აქვს; ღამის უმთავრესი ნაწილი კარგად ეძინა დღეს ტემპერატურა 37. 7 მარტს გაიხსნა სამხატვრო გამოფენა რუსეთის ისტორიულ პორტრეტებისა სამეცნიერო აკადემიის შენობაში.

**ბერლინი.** გაზეთები იხილავენ საფრანგეთ რუსეთის ნაბიჯს, როგორც ახალს გრიფინიას მშვიდობიანობისას.

**პარიჟი.** ,,ფიგარო'' სწერს: საფრანგეთ-რუსეთისკავშირი ახალს ფაქტიურს განმტკიცებას ჰპოულობს. პირველი შედეგი ინგლის-იაპონიის კავშირისა არის განმარტება, მეგობრულის კილოთი შედგენილი რადგან აღმოსავლეთის კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ კანონიერია რუსეთის და საფრანგეთის მიერ საჯაროდ განმარტება თავის განზრახვისა. საფრანგეთ-რუსეთის განცხადება არის დამამტკიცებელი უფრო და უფრო განმტკიცებულის ერთობისა ამ ორს სახელმწიფოთა შორის და მასთან არის ოფიციალური განმარტება იმისა, რომ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობამ არ უნდა შეაწუხოს საფრანგეთი.

**ვენა.** სკუპშჩინამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას; კაბინეტმა უკან წაიღო თხოვნა.

**პარიჟი.** სენატი დელკასემ განაცხადა, რომ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებაში არა არის რა ისეთი, რასაც შეუძლია ეჭვი დაგვიბადოს ინგლის და იაპონიას უნათ მხოლოდ უზრუნველ ყოფილ ჰყონ ჩინეთის შეუხებლობას პრინციპი. ეგ პრინციპი საფუძვლად უდევს ჩვენს პოლიტიკას ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ჩინეთის შეუხებლობაში. მეორე კითხვა ხელშეკრულობის მიერ წამოყენებული არის კითხვა ღია კარებისა. იგი, დელკასე ჯერ კიდევ 1889 წ. ნოემბერში ვთხოულობდი ამ პრინციპის აღიარებას. ფაქტები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ყოველთვის ვზრუნავდით ჩვენს ინტერესებზე შორეულს აღმოსავლეთში. ახლა ყველას მიერ აღიარებულია, რომ საჭიროა კავშირში შესვლა, თუ ინტერესების ერთობბას თან უერთდება გრძნობათა ერთობა, ამის შემდეგია მეტად მტკიცე კავშირი: ას არის საიდუმლო ჩვენის და რუსეთის კავშირის ძლიერებისა. კავშირი უნდა გაგრძელდეს, რადგან დამყარებულია მტკიცე პირობებზე, რაიც დაამტკიცა რუსეთის იმპერატორის მეორე ვიზიტმა და რასაც დაამტკიცებს აგრეთვე პრეზიდენტის რუსეთში წასვლა, რომელიც გადასცემს ჩვენს მოკავშირეს საფრანგეთის სახელით გულითად სალამს.

მეორე მომგებიან სესხის მოგებანი

მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერიებ. | №№ ბილეთ. | მოგების ჯამი | №№ სერიებ. | №№ ბილეთ. | მოგების ჯამი | №№ სერიებ. | №№ ბილეთ. | მოგების ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00031 | 47 | 500 | 06672 | 2 | 500 | 12713 | 47 | 500 |
| 00112 | 6 | 500 | 06761 | 26 | 500 | 12951 | 20 | 500 |
| 00200 | 13 | 500 | 06774 | 9 | 500 | 12991 | 1 | 500 |
| 00222 | 48 | 500 | 06826 | 49 | 500 | 13018 | 13 | 500 |
| 00226 | 43 | 5000 | 06832 | 45 | 500 | 13029 | 6 | 500 |
| 00278 | 8 | 500 | 06907 | 12 | 500 | 13055 | 38 | 500 |
| 00435 | 5 | 500 | 07078 | 5 | 500 | 13195 | 33 | 8000 |
| 00493 | 33 | 500 | 07144 | 25 | 500 | 13290 | 11 | 500 |
| 00502 | 40 | 500 | 07220 | 2 | 500 | 13434 | 43 | 1000 |
| 00533 | 8 | 500 | 07236 | 47 | 1000 | 13692 | 46 | 500 |
| 00569 | 9 | 1000 | 07414 | 36 | 500 | 13695 | 22 | 500 |
| 00624 | 46 | 1000 | 07437 | 3 | 500 | 13754 | 20 | 500 |
| 00671 | 28 | 500 | 07447 | 33 | 500 | 13764 | 15 | 500 |
| 00721 | 34 | 500 | 07474 | 2 | 500 | 13778 | 14 | 1000 |
| 00754 | 42 | 500 | 07515 | 9 | 500 | 13821 | 3 | 500 |
| 00820 | 33 | 500 | 07555 | 2 | 500 | 13858 | 22 | 500 |
| 00906 | 36 | 500 | 07895 | 20 | 500 | 13931 | 6 | 500 |
| 00969 | 23 | 500 | 07917 | 6 | 500 | 13999 | 42 | 500 |
| 01167 | 38 | 500 | 07984 | 1 | 500 | 14102 | 29 | 500 |
| 01170 | 5 | 500 | 08035 | 22 | 500 | 14284 | 19 | 500 |
| 01331 | 31 | 500 | 08508 | 19 | 500 | 14293 | 2 | 500 |
| 01336 | 34 | 500 | 08526 | 35 | 40000 | 14452 | 46 | 10000 |
| 01466 | 33 | 500 | 08547 | 7 | 500 | 14511 | 19 | 5000 |
| 01670 | 6 | 1000 | 08673 | 43 | 500 | 14523 | 23 | 1000 |
| 01670 | 31 | 500 | 08704 | 38 | 500 | 14627 | 35 | 500 |
| 01671 | 27 | 500 | 08768 | 17 | 500 | 14666 | 27 | 500 |
| 01689 | 49 | 500 | 08919 | 34 | 500 | 14719 | 12 | 500 |
| 01793 | 3 | 500 | 09010 | 23 | 500 | 14937 | 49 | 500 |
| 01857 | 50 | 500 | 09057 | 36 | 500 | 15074 | 44 | 500 |
| 01869 | 30 | 500 | 09064 | 30 | 500 | 15173 | 23 | 500 |
| 01964 | 15 | 8000 | 09073 | 41 | 500 | 15190 | 26 | 500 |
| 01981 | 33 | 500 | 09078 | 13 | 500 | 15326 | 20 | 500 |
| 02060 | 47 | 500 | 09096 | 3 | 5000 | 15364 | 31 | 500 |
| 02217 | 6 | 500 | 09128 | 26 | 500 | 15376 | 15 | 500 |
| 02265 | 21 | 500 | 09146 | 15 | 500 | 15434 | 37 | 500 |
| 02337 | 31 | 500 | 09146 | 39 | 500 | 15438 | 32 | 500 |
| 02381 | 37 | 500 | 09162 | 17 | 1000 | 15474 | 35 | 500 |
| 02508 | 17 | 500 | 09184 | 1 | 500 | 15479 | 32 | 500 |
| 02563 | 4 | 500 | 09252 | 31 | 500 | 15502 | 33 | 500 |
| 02613 | 45 | 500 | 09421 | 38 | 1000 | 15532 | 43 | 500 |
| 02693 | 42 | 500 | 09526 | 18 | 500 | 15555 | 32 | 500 |
| 07828 | 29 | 500 | 09589 | 10 | 1000 | 15578 | 29 | 500 |
| 02928 | 47 | 500 | 09597 | 40 | 500 | 15661 | 11 | 500 |
| 03044 | 6 | 500 | 09707 | 4 | 500 | 15663 | 43 | 500 |
| 03149 | 43 | 500 | 09725 | 33 | 500 | 15771 | 10 | 500 |
| 03203 | 37 | 500 | 09733 | 15 | 500 | 15785 | 1 | 500 |
| 03245 | 3 | 500 | 09757 | 30 | 500 | 15785 | 31 | 500 |
| 03317 | 7 | 500 | 09824 | 12 | 500 | 15863 | 10 | 500 |
| 03419 | 22 | 500 | 09824 | 41 | 500 | 15948 | 46 | 500 |
| 03428 | 2 | 500 | 09927 | 26 | 500 | 16072 | 45 | 500 |
| 03435 | 38 | 1000 | 10023 | 14 | 500 | 16116 | 28 | 500 |
| 03515 | 10 | 500 | 10115 | 2 | 500 | 16136 | 3 | 500 |
| 03552 | 26 | 500 | 10334 | 19 | 500 | 16146 | 10 | 500 |
| 03588 | 6 | 500 | 10352 | 38 | 550 | 16350 | 50 | 1000 |
| 03860 | 9 | 500 | 10480 | 44 | 500 | 16488 | 6 | 500 |
| 03897 | 38 | 500 | 10614 | 36 | 500 | 16696 | 39 | 10000 |
| 04054 | 43 | 500 | 10699 | 36 | 500 | 16728 | 49 | 500 |
| 04066 | 16 | 500 | 10735 | 48 | 500 | 16758 | 26 | 500 |
| 04093 | 33 | 500 | 10803 | 13 | 200000 | 16825 | 15 | 500 |
| 04170 | 30 | 500 | 10854 | 20 | 500 | 16864 | 12 | 500 |
| 04851 | 44 | 1000 | 10855 | 5 | 500 | 16898 | 30 | 500 |
| 04539 | 2 | 500 | 10910 | 19 | 8000 | 16950 | 17 | 25000 |
| 04554 | 9 | 500 | 10930 | 20 | 5000 | 17013 | 36 | 500 |
| 04585 | 36 | 500 | 10951 | 31 | 1000 | 17088 | 33 | 500 |
| 04700 | 22 | 500 | 10954 | 44 | 500 | 17198 | 6 | 500 |
| 04771 | 3 | 500 | 10991 | 50 | 500 | 17234 | 46 | 500 |
| 04880 | 24 | 1000 | 11044 | 5 | 500 | 17276 | 5 | 500 |
| 04953 | 22 | 500 | 11127 | 5 | 500 | 17296 | 7 | 500 |
| 05002 | 41 | 500 | 11187 | 14 | 500 | 17406 | 13 | 500 |
| 05065 | 48 | 1000 | 11220 | 29 | 500 | 17731 | 33 | 500 |
| 05078 | 25 | 500 | 11343 | 11 | 500 | 17788 | 13 | 500 |
| 05098 | 41 | 500 | 11367 | 37 | 500 | 17790 | 49 | 500 |
| 05149 | 18 | 500 | 11413 | 22 | 500 | 17836 | 16 | 500 |
| 05168 | 19 | 1000 | 11588 | 46 | 500 | 17945 | 13 | 500 |
| 05173 | 40 | 500 | 11609 | 2 | 500 | 17967 | 16 | 500 |
| 05197 | 12 | 5000 | 11648 | 19 | 1000 | 18003 | 12 | 8000 |
| 05264 | 10 | 500 | 11696 | 48 | 500 | 18018 | 46 | 500 |
| 05287 | 5 | 500 | 11728 | 36 | 500 | 18049 | 32 | 500 |
| 05299 | 1 | 500 | 11747 | 31 | 500 | 18502 | 47 | 500 |
| 05364 | 43 | 75000 | 11788 | 47 | 500 | 18506 | 32 | 500 |
| 05391 | 45 | 500 | 11821 | 16 | 500 | 18593 | 24 | 500 |
| 05544 | 18 | 500 | 11831 | 43 | 500 | 18615 | 28 | 500 |
| 05578 | 28 | 500 | 11859 | 10 | 500 | 18711 | 13 | 1000 |
| 05744 | 35 | 500 | 11867 | 19 | 10000 | 18797 | 9 | 500 |
| 05755 | 44 | 500 | 11934 | 2 | 8000 | 18800 | 18 | 500 |
| 05783 | 48 | 500 | 11992 | 15 | 500 | 19021 | 11 | 500 |
| 05839 | 45 | 500 | 12042 | 13 | 500 | 19047 | 5 | 500 |
| 05912 | 14 | 500 | 12048 | 9 | 500 | 19141 | 43 | 500 |
| 05953 | 27 | 500 | 12069 | 24 | 500 | 19367 | 41 | 500 |
| 05981 | 38 | 500 | 12088 | 17 | 1000 | 19395 | 20 | 500 |
| 06020 | 16 | 500 | 12144 | 6 | 500 | 19409 | 41 | 500 |
| 06085 | 25 | 500 | 12150 | 42 | 500 | 19493 | 4 | 500 |
| 06138 | 26 | 500 | 12175 | 7 | 500 | 19529 | 34 | 500 |
| 06142 | 32 | 500 | 12200 | 20 | 500 | 19570 | 13 | 500 |
| 06172 | 14 | 5000 | 12360 | 33 | 500 | 19637 | 1 | 500 |
| 06200 | 1 | 500 | 12378 | 12 | 5000 | 19674 | 10 | 500 |
| 06290 | 32 | 500 | 12500 | 33 | 5000 | 19685 | 28 | 500 |
| 06331 | 47 | 500 | 12532 | 43 | 500 | 19741 | 11 | 500 |
| 06345 | 48 | 500 | 12540 | 5 | 500 | 19778 | 2 | 500 |
| 06653 | 38 | 500 | 12669 | 35 | 500 | 19945 | 47 | 500 |

ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ბილეთები:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00325 | 02559 | 04896 | 07237 | 10199 | 13140 | 15484 | 18449 |
| 00340 | 02582 | 05069 | 07351 | 10212 | 13160 | 15505 | 18502 |
| 00371 | 02622 | 05132 | 07407 | 10552 | 13401 | 15571 | 18556 |
| 00442 | 02656 | 05223 | 07417 | 10679 | 13773 | 15788 | 18696 |
| 00453 | 02693 | 05403 | 07547 | 10932 | 13777 | 16199 | 18708 |
| 00487 | 03142 | 05606 | 07600 | 11033 | 14061 | 16425 | 18874 |
| 00506 | 03295 | 05891 | 07645 | 11216 | 14209 | 16581 | 19027 |
| 00686 | 03444 | 05803 | 08158 | 11218 | 14230 | 16670 | 19305 |
| 00972 | 03484 | 05949 | 08217 | 11737 | 14329 | 16755 | 19359 |
| 01077 | 03542 | 06015 | 08346 | 11949 | 14465 | 16832 | 19471 |
| 01241 | 03590 | 06308 | 08440 | 11964 | 14616 | 17004 | 19580 |
| 01269 | 03721 | 06520 | 09241 | 12110 | 14684 | 17563 | 19085 |
| 01416 | 04097 | 06621 | 09377 | 12175 | 14693 | 17658 | 19837 |
| 01711 | 04139 | 06647 | 09535 | 12302 | 14832 | 17790 | |
| 01849 | 04198 | 06801 | 09621 | 12686 | 14952 | 17833 | |
| 01851 | 04396 | 06802 | 09657 | 12688 | 14954 | 18098 | |
| 02319 | 04529 | 06962 | 09865 | 12771 | 15070 | 18126 | |
| 02358 | 04643 | 07083 | 09961 | 12850 | 15223 | 18163 | |
| 02439 | 04808 | 07096 | 10180 | 12944 | 15474 | 18187. | |

**პეტერბურგის ბირჟა** 1 მარტი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 | |
| ბერლინში 100 მარკაში | — | |
| პარიჟში 100 ფრანკში | — | |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 | |
| ბერლინში ,, | 46,27½ | |
| პარიჟში ,, | — | |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅝ | გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 99⅞ | წვრ. გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — | |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 47 | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 370 | გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 302½ | გაყიდ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 94¼ | |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89¾ | გაყიდ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — | |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — | |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,425 | წვ. გაყ. |
| აქციები ,, | 520 | გაყიდ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4,515 | გაყიდ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 419 | გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 215 | წვ. გაყ. |

**ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:**

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

**ქუთაისიდგან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდგან** შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

# განცხადებანი


## იყიდება

ოქროს მედალით დაჯილდოვებული **ხე-ხილი** ლაგოდეხიდგან ამხანაგობის „შრომისა", აფრიკიანცისა.

მიხეილის ქუჩა, № 101, ტერ-სტეფანოვის პანსიონი.

4—303—3).

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,** მსუბუქ და მძიმე ტვირთის მზიდავთათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის ძალით, აცხადებს, მედროგეთა და მზიდავთა საყურადღებოდ, რომ გამგეობის მიერ **დანიშნულია არჩევანები** ორისავე საზოგადოებისა მამასახლისებისა. (სტაროსტისა) და მათის კანდიდატებისა ქალაქის გამგეობის სადგომში მსუბუქ ტვირთის მზიდავთათვის 15 მარტისათვის, ნაშუადღევის სამ საათზედ, მძიმე ტვირთის მზიდავისთვის 17 მარტისათვის, დილის 10 საათზედ, ამიტომ სთხოვს სთხოვს დროგის პატრონთ მობრძანდნენ გამგეობაში დანიშნულ დროისთვის თავიანთის ნომრებით ან სავალდებულო დადგენილება-წიგნაკებით არჩევანების მოსახდენად.

(3—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ 6 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.